# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 28 სექტემბერი 2007 №224 (3147)

ფასი 50 თეთრი

# თამაშების ჩამწყობის ადგილი ფეხბურთში კი არა, ციხეშია!

## ახალკაცმა ტოპმიოლერი თქვა და პროკურატურა ახსენა

დღეს-ხვალ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩებია და რამდენიმე საინტერესო წყვილიც ჩანს.

ტურის ანონსს უფრო დეტალურად მესამე გვერდზე გაეცნობით, იქამდე კი, მეორე გვერდზე გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან, ვისაც ჩინეთში დავუკავშირდით.

ქართული ფეხბურთის თავკაცს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე ვესაუბრეთ, თუმცა ამათგან გამორჩეული ორი თემა იყო: გარიგებული მატჩები ეროვნულ ჩემპიონატში და კლაუს ტოპმიოლერის კონტრაქტის შესაძლო გაგრძელების პერსპექტივა...



გურამ მურადაშვილის ფოტო

# საქართველო ჩაჭრაზე თამაშობს

## ახალი პირობა მორაგბეებისგან: ფრანგებს თავს შევაკლავთ და სისხლს გავუშრობთ!

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ისეთ რაგბის თამაშობს, როგორიც არასდროს უთამაშია. „ლელოებს" ერთობა არ აკლდათ, მაგრამ ასეთი შეკრულები და ორგანიზებულები არასდროს ყოფილან.

მორაგბეთა ჭეშმარიტად ეროვნული გუნდი რომ ვითარდება, ეს ნათლად ჩანს ცალკეული მოთამაშეების მაგალითზეც. ნაკრების ვეტერანი მობურთალი მალხაზ ურჯუკაშვილი არცთუ შორეულ წარსულში გარემარბი გახლდათ, ახლა კი უკანა ხაზში ნებისმიერ ამპლუაში თანაბრად ყოჩაღი და საიმედოა. ნამიბიასთან 30:0 მოგებულ მატჩში ყველაზე საპასუხისმგებლო, მცველის პოზიციაზე ითამაშა და უცხოელ მიმომხილველთა აზრით, საუკეთესო გახლდათ.

მახოსთან ინტერვიუს და ზოგადად ქართულ ნამატჩევ შთაბეჭდილებებს მე-14 გვერდზე იხილავთ...





დღეს ბევრი ლაპარაკი და კამათია, დარჩება თუ არა კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად მომდევნო შესარჩევ ციკლში. მარტო შედეგით რომ ავილოთ, ჰერ კლაუსის კანდიდატურას, რბილად რომ ვთქვათ, ოპტიმალურს ვერ დავარქმევთ, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — ტოპმიოლერის მომხრენი იტყვიან, შედეგის მიღწევას დრო სჭირდებაო. ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს ჩინეთში დავუკავშირდით...

# ვინც გარიგებულ მატჩს თამაშობს, მისი ადგილი ქართულ ფეხბურთში კი არა, ციხეშია!

## ახალკაცი ტოპმიოლერის დატოვებას ეცდება

— მე და ფედერაციის გენმდივანი უჩა უგულავა ჩინეთში ვართ. აქ ქალთა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატია და ფიფა სიმპოზიუმს ატარებს. სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციების ხელმძღვანელებიც აქ არიან და ქალთა ფეხბურთის განვითარებასა და სხვა საკითხებზე ვმსჯელობთ. 30 სექტემბერს ფინალურ შეხვედრას დავესწრებით და თბილისში დავბრუნდებით.

**— კონკრეტულად როდის გადაწყდება კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტის გახანგრძლივების საკითხი?**

— ჯერ იტალიასთან და შოტლანდიასთან მატჩებია და ამის შემდეგ.

**— კლაუს ტოპმიოლერის წასვლა-დარჩენის საკითხი ამ თამაშების შედეგებზე იქნება დამოკიდებული?**

— შედეგი მნიშვნელოვანია, მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება ყველაფერი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ კაცმა ყველაფერი ნულიდან დაიწყო, ეკლიანი გზა გაიარა და ბევრი რამ კიდევ აქვს გასაკეთებელი. ხანგრძლივვადიანი გეგმა გვაქვს, სხვანაირად შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია.

**— როგორ შეაფასებთ ეროვნული ნაკრების ბოლო სამ შეხვედრას ლუქსემბურგთან, უკრაინასთან და აზერბაიჯანთან?**

— ეს მწვრთნელის საქმეა, ჩვენ კი გვევალება, ნაკრებს კარგი პირობები შევუქმნათ. ისე, ლუქსემბურგთან მატჩის შემდეგ გამოვთქვი პრეტენზიები, აზერბაიჯანთან მატჩში კი ბევრი ახალი ფეხბურთელი იყო, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

**— როგორც ჩანს, კმაყოფილი ხართ...**

— ჩემი აზრით, ეროვნული ნაკრები სწორი გზით მიდის.

**— ეს იმას ნიშნავს, რომ ტოპმიოლერის კონტრაქტის გახანგრძლივებაზე თანახმა ხართ?**

— ვეცდებით, ტოპმიოლერმა და მისმა გუნდმა ჩვენთან მუშაობა გააგრძელონ. ამ ორი წლის განმავლობაში მათ ქართული ფეხბურთი კარგად შეისწავლეს და ეს დიდი უპირატესობაა. ტოპმიოლერის ხელში ჩვენმა ნაკრებმა გამოცდილება შეიძინა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ხომ უძლიერეს გუნდებთან მოგვიხდა დაპირისპირება და ამხანაგურებშიც ძლიერი მეტოქეები გვყავდა — გერმანია, თურქეთი, პარაგვაი, ურუგვაი... შედეგის მიღწევას დრო უნდა და ამიტომ ჩვენი დიდი სურვილია, ტოპმიოლერი და მისი გუნდი აქ დარჩნენ.

**— ეროვნულ ჩემპიონატზე რას იტყვით? პროგრესი შეინიშნება?**

— ჩვენი ჩემპიონატი თანდათან ვითარდება და ამას ვინც ვერ ამჩნევს, მასთან საუბარს აზრი არ აქვს. ფედერაცია და პროფლიგა ბევრ საინტერესო საკითხზე მუშაობენ და მალე კიდევ უკეთესი მდგომარეობა იქნება.

**— რაც საქართველოს ჩემპიონატები ტარდება, მას შემდეგ სულ არის მითქმა-მოთქმა, რომ გარიგებული თამაშები უცხო არ არის, თუმც ამდენი წელი გავიდა და არც ერთი ასეთი ფაქტი არ გამოვლენილა. ამ მხრივ მიდის მუშაობა? თუ ძალიან პატიოსანია ქართული ფეხბურთი და ეს წარმოუდგენელია?**

— ეს არა მარტო ქართული ფეხბურთის, არამედ ყველა საფეხბურთო ქვეყნების პრობლემაა. ფედერაცია ამ მხრივ მუშაობს და, თუ კონკრეტული ფაქტი იქნება, რადიკალურ ზომებს არ მოვერიდებით. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და პროკურატურას აუცილებლად შევატყობინებთ. ამაზე დიდი ბჭობა არ უნდა იყოს. თუ ვინმე გარიგებულ მატჩს თამაშობს, მისი ადგილი ქართულ ფეხბურთში კი არა, ციხეშია!

**— მსაჯობაზე რას იტყვით?**

— წინა წლებთან შედარებით, სერიოზული წინსვლა შეინიშნება. ჩვენს მსაჯებს ბევრი რამე კიდევ აქვთ დასახვეწი, მაგრამ ძველად რომ ცუდი იარლიყი ჰქონდათ მიწებებული, ასე აღარ არის. შეცდომას ყველგან უშვებენ მსაჯები — იტალიაშიც, ინგლისშიც და გერმანიაშიც, მაგრამ ეს შეგნებულად არ უნდა ჩაიდინოს. საქართველოში მსაჯებთან პრეტენზიები კი აქვთ ხოლმე, მაგრამ კონკრეტულად რომ ვთხოვთ, ფაქტები გვაჩვენონ, სამწუხაროდ, კლუბების წარმომადგენლები ამის შემდეგ პირში წყალს იგუბებენ. დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველოში კორუმპირებული მსაჯები არ არიან და თუ ვინმე მართლაც ასეთია, არ ვურჩევ, თავისი შავბნელი საქმის გაგრძელებას, თორემ როცა საქვეყნოდ გამოვააშკარავებთ, მერე გვიანი იქნება.

**ნუგზარ ლოლაძე**

# ზესტაფონთან ჩემი ანგარიშები მაქვს

დღეს „სიონი" — „ზესტაფონია". ამ ჩემპიონატამდე მათი შეხვედრები მუდამ პრინციპული და უშელავათო იყო: ორივე გუნდი ხომ მაღალი მიზნებისთვის იბრძოდა. მიმდინარე სეზონში „სიონი" ისე ველარ ჩაუქრობს და დღეს იმერლები ითვლებიან ფავორიტებად, თუმც ისიცაა, რომ „თემურ სტეფანიას" სტადიონზე თამაში ყველას უჭირს. ამასთან, თუ „სიონს" ელიტაში ადგილის შენარჩუნება უნდა, საშინაო მატჩებში ქულების დაკარგვას უნდა ერიდოს. ამიტომ „ზესტაფონს" ქვემო ქართლში იოლი გასეირნება არ ელის. მით უფრო, რომ „სიონი" ამ მატჩისთვის განსაკუთრებით ემზადება — ეს ბოლნისელთა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ყიფშიძემ გუშინ გვითხრა...



**— როგორ ემზადებით „ზესტაფონთან" მატჩის წინ?**

— გუნდი შეკრებაზეა — ჩვეულებრივი ვარჯიშები გვაქვს. „ზესტაფონთან" მთელი შემართებით ვიბრძოლებთ. ისე კი, მე ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადები.

**— რატომ?**

— პირადად მე მაქვს „ზესტაფონთან" სპორტული ანგარიში გასასწორებელი.

**— დაშავებული ხომ არავინ გყავთ?**

— გასტონ ევორჩე კარგა ხანია, ტრავმირებულია. დანარჩენი არავინ, მხოლოდ დისკვალიფიცირებული კვიციანი დაგვაკლდება. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაციამოხდილი ჩასემი დაგვიბრუნდება.

**— „სიონი" წლეულს ისეთი ველარ არის, როგორიც ადრე იყო...**

— ასეა, მაგრამ ეს ჩავარდნა დროებითია. ბოლნისში ამბიციური გუნდის გაკეთება სურთ და ეს მომავალი წლიდან დაიწყება — ხელმძღვანელობა სერიოზულად ფიქრობს ამ საკითხზე.

**— და ამ სეზონში რა მიზანი გაქვთ?**

— თუ საგაისოდ ამბიციური გუნდის გაკეთება გვინდა, არ უნდა გავვარდეთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზესტაფონი ორი გიორგი ჭელიძით

„ზესტაფონის" ნახევარმცველმა გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ ვარჯიში განაახლა. მას ფეხის კუნთი ჰქონდა გაწყვეტილი, რის გამოც მოსამზადებელი პერიოდი თითქმის მთლიანად გაუცდა და ამ სეზონში ჯერ ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია.

„თამაში ახლაც შემიძლია. თუმც ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. მე მზად ვარ. მიხარია, რომ „ზესტაფონი" კარგ ფორმაშია და ჩემპიონობის შანსი აქვს" — გვითხრა ჭელიძემ, რომლის უცხოურ გუნდში წასვლაზეც კი ლაპარაკობდნენ, თუმც...

„კონტრაქტი მაქვს „ზესტაფონთან", ასე რომ, ჯერ ვერაფერს ვამბობ. თანაც, ახლა ფორმაში უნდა შევიდე, ვითამაშო" — გვითხრა ჭელიძემ.

**ილია ნანობაშვილი**

# უეფამ 2010 დაგეგმა




**უეფას** აღმასრულებელმა კომიტეტმა გუშინ სამხრეთ აფრიკაში გასამართი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპის ზონის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრის დრო და ადგილი დათქვა — 25 ნოემბერი, მუნდიალის ერთ-ერთი მასპინძელი ქალაქი დურბანი.

უეფას აღმასკომმა ჯერ კიდევ ივნისში დაადგინა, თუ როგორი სისტემით ჩატარდება მომავალი შესარჩევი ეტაპი: გუნდები ფიფას რეიტინგის მიხედვით იქნებიან კალათებში განთესილნი.

სულ შეიქმნება 9 ჯგუფი, რომელთაგან რვა ჯგუფში ექვს-ექვსი გუნდი, ხოლო მეცხრეში ხუთი მოხვდება. პირველი ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად გავლენ მუნდიალზე, ხოლო რვა საუკეთესო მეორეადგილოსანი დაწყვილდება და ერთმანეთში კიდევ ოთხი საგზურის მფლობელს გაარკვევს.

104-ე ადგილზე მყოფი საქართველოს ნაკრებისთვის ძნელად პროგნოზირებადი არ უნდა იყოს, თუ რომელ კალათში იქნება განთესილი...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### ინგლისი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
იორკი 3:2 ჰალიფაქსი

### ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
V ტური
რეალი 2:0 ბეტისი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
VII ტური
მაინცი 3:0 მიუნხენი

### საფრანგეთი

თასი. 1/16 ფინალი
ნანტი 2:3 მონაკო

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩი
ტამპერე 2:1 ჰაკა

თასი
კოკოლა 0:0 (5:3პ) ლაჰტი
იავასკილა 0:4 ჰიკ
ჰონკა 2:2დ.დ. (2:0პ, 1:1) ინტერი

### ჰოლანდია

თასი. II ეტაპი
აფკ 0:4 დენ ბოსხი
ელინკვიიკი 1:5 გრააფსხაპი
კამბური 1:0 ალკმაარი
დეურნე 3:0 მეერსენი
ტელსტარი 1:2 ჰერაკლესი
ტვენტე 1:2დ.დ. (1:1) ნაიმეგენი

### დანია

თასი. I ეტაპი
ჰვიდოვრე 0:2 ოდენსე

### შვედეთი

თასი. ფინალი
კალმარი 3:0 გიოტებორგი

### შვეიცარია

სუპერლიგა. X ტური
სიონი 2:1 თუნი

### მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატი. ქალები

ნახევარფინალი
აშშ 0:4 ბრაზილია

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 7 ტური



„სიონი" — „ზესტაფონი" ამ ტურის ერთ-ერთი მთავარი მატჩია

ბადრი კოტოლაშვილის ფოტო

ბოლნისი. 28 სექტემბერი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი — ზესტაფონი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ი. უკლება, ი. ურუშაძე

გორი. 28 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანიძე

**დილა — მგლები**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, ა. ნონიკაშვილი

ბორჯომი. 28 სექტემბერი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — მესხეთი**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ი. მაჩიტიძე, პ. დოგრაშვილი

თბილისი. 28 სექტემბერი. 16 საათი. მერანი

**მერანი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე, ი. კაკაბაძე, ხ. გაგნიძე

რუსთავი. 29 სექტემბერი. 16 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — ლოკომოტივი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ზ. ხუციშვილი, ა. კოკაია, ა. კრიჭაშვილი

გორი. 29 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**სპარტაკი — ამერი**

მსაჯები: ო. ხეცაძე, გ. ჩიგოგიძე, კ. ბერაძე, გ. ვადაჭკორია

თბილისი. 29 სექტემბერი. 16 საათი. ეროვნული

**დინამო — ბათუმი**

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ზ. ერქვანია, ვ. გუმბერიძე

# ბოლნისში ფეროს გამოცდაა

## ვინ გაჰყვება იღბლიან ზოლს?

შემადგენლობამისუსტებული ბოლნისის „სიონი" შარშანწინდელივით მიზნებს ვერ ეჭიდება, ცხრილის შუაშია, თუმც ბოლნისში ჯერ არ წაუგია და საერთოდაც, „თამაზ სტეფანიაზე" მოგება რომ ადვილი საქმე არ არის, ყველამ იცის — მეშვიდე ტურიდანაც სწორედ „სიონი" — „ზესტაფონი" გამოვარჩიეთ, თუმც კბილებით ბრძოლას სხვა თამაშებშიც ველით.ისე ჩანს, ჩემპიონატში ორი ლიდერი და სამი-ოთხი აუტსაიდერი გამოიკვეთა, თუმც მარჩიელობა ნაადრევია, ჯერ ხომ პირველი წრის ეკვატორზე ვართ...

თემურ მახარაძის „ზესტაფონი" ასეთი ძლიერი, ალბათ, არასოდეს ყოფილა: გუნდში ყველა რგოლი თანაბრადაა დაბალანსებული, თანაც „გრძელი სკამითაც" სარგებლობენ და ამ სეზონში უკვე იყო მატჩები, შეცვლაზე შესულ ფეხბურთელებს რომ გაუტანიათ გადამწყვეტი გოლები. კერძოდ, გოგი ფიფიასა და ზურაბ იონანიძეს ვგულისხმობთ, ამათ გარდა, „ზესტაფონს" ჰყავს გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, ბრაზილიელი ჟილვან ვიეირა და ბექა გოცირიძე, ვინაც ბოლოხანს კარგი ფორმა აკრიფა.

ცხადია, ფეროელები ჩემპიონატშიც და თასზეც ერთ-ერთი ფავორიტები არიან.

„სიონმა" კი ბოლო ორ ტურში ოთხი ქულა მოიპოვა, თანაც არცთუ სუსტებთან: „ვიტ ჯორჯიას" მოუგო, ახალციხის „მესხეთთან" კი სტუმრად 2:2 ითამაშა და განსაკუთრებით გამოირჩა ფორვარდი ბესიკ ქარდავა.

დისკვალიფიკაცია მოიხადა ბოლნისელთა საუკეთესო თავდამსხმელმა ერიკ რომეო ჩასემმა და დღეს იმერელთა ძლიერი დაცვის აწიოკებას შეეცდება.

მოკლედ, დაძაბული თამაში უნდა გამოდგეს და ამას სტატისტიკაც გვეუბნება, რადგან ამ გუნდების ჯახი, რა ფორმაშიც არ უნდა იყვნენ კონკრეტულ პერიოდში, სულ ასეთია. გარკვეულ ინტრიგას თემურ მახარაძის ბოლნისში ჩასვლაც აჩენს: ის ხომ რამდენიმე წლის წინ „სიონის" თავკაცი იყო, ხოლო ქვემოქართლელთა ამჟამინდელი მწვრთნელი გიორგი ყიფშიძე მახარაძის ასისტენტი გახლდათ.

დღესვე, იღბლიან ზოლზე მიმავალი „ბორჯომი" ყოჩაღ დებიუტანტ „მესხეთს" დაუხვდება და ვინ იტყვის, ისე რა მატჩიაო, როცა თორელები მესამე ადგილზე არიან, მესხები კი — მეოთხეზე. ანკი, მეზობლების ჯახს ინტრიგა რატომ მოაკლდება? ბევრი იქნება დამოკიდებული ახალციხელთა მეკარე გიორგი სომხიშვილზე და დაცვაზე, რაკილა ბოლო დროს გოლმოხშირე შოთა ჯიქია და შოთა გრიგალაშვილი დღესაც შეეცდებიან სერიის გაგრძელებას.

ბოლო ორ ტურში ქულაუნახავი „ვიტ ჯორჯია" „მერანს" ესტუმრება და, შესაძლოა, მესამე ადგილზე აცოცდეს — ეს მაშინ, თუ თავად მოიგებს, ბორჯომული მატჩი კი ფრედ დასრულდება.

„მერანი" რაღაც უცნაური გუნდია, ზოგიერთ თამაშში ძალიან გაძალიანდა და ფრის წკიპზე იყო, ბოლოს კი „ამერს" 0:7 დაეჩაგვრინა.

ზაზა სახოკია, ირაკლი კლიმიაშვილი და ნიკა გელაშვილი ვიტელთა მთავარ ძალას წარმოადგენენ, „მერანს" კი გამორჩეული ფეხბურთელები არ ჰყავს და აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

ორი კვირაც არ გასულა, რაც „დილამ" თასის ჯგუფურ მატჩში ქულა წამოიღო ზუგდიდიდან, დღეს კი ჩემპიონატში დაუხვდება იმ „მგლებს", რომელმაც წინა ტურში თბილისის „დინამოსთან" დაძაბულ და ცოტა სკანდალურ შეხვედრაში 1:2 დათმო.

„თენგიზ ბურჯანაძეზე" ფავორიტის დასახელება ცოტა ძნელია — რამდენიმე გამორჩეულ კლუბს თუ არ ჩავთვლით, გორში თამაში ყველას უჭირს. „მგლების" გამორჩეულად მონათვლა კი ჯერ მაინც ნაადრევი გვგონია, ჯერ ლიდერებთან მატჩებში უნდა დაამტკიცოს, რომ ყოჩაღი გუნდია...

„დილამ" კი სასტარტო მოგების შემდეგ ზედიზედ ხუთჯერ წააგო.

ახლა შაბათის მატჩებზე, რომელთაგან ყველაზე იოლად „დინამო" — „ბათუმის" შედეგის გამოცნობა შეიძლება: ჯერ ერთი, ლიდერი ბოლოადგილოსანს ხვდება და ასეც არ იყოს, ნამდვილად არ გვახსენდება, ბოლოს როდის აართვეს ქულები ზღვისპირელებმა დინამოელებს.

დუშან უჰრინის გუნდს გაბონელი ჟორჟ აკირემი არ ეყოლება, თუმც „დინამოს" სხვა გამტანებიც ჰყავს, პირველ რიგში კი გიორგი მერებაშვილი, მიხეილ ხუციშვილი და ილია სპასოევიჩი.

რუსთავის „ოლიმპს" ჩემპიონატიან-თასიანად ოთხი მატჩია, არ მოუგია და აქედან სამში წააგო, დღეს კი, სავარაუდოდ, ნავსს გატეხს.

ანატოლი პისკოვეცის გუნდი თბილისის „ლოკომოტივს" მასპინძლობს, რომელსაც წინა მატჩში დისკვალიფიცირებული მწვრთნელი გიორგი კიკნაძე უბრუნდება, მაგრამ ვითომ ეს უშველის რამეს? „ლოკომოტივი" ლევან ყენიას გარეშე მთლად უსუსურდება ხოლმე...

გოლების იმტაზე მისული „ამერი" გორში ცხინვალის „სპარტაკს" ეთამაშება და ორი გზა არაა, აუცილებლად უნდა მოიგოს, რათა ლიდერთა ჯგუფს მალე მიაკითხოს.

„ყვითლები" დანაკლისის გარეშე არიან, თუ არ ჩავთვლით სეზონის წინ მძიმედ დაშავებულებს, რატი წინამძღვრიშვილისა და ბესიკ ჩიმაკაძეს.

„სპარტაკს" რა უჭირს. დიდი მიზნებისთვის არც იბრძვის და მოსალოდნელზე უკეთეს შედეგს კი აჩვენებს — კობა ჟორჟიკაშვილის გუნდმა, რომელიც სეზონის წინ უგუნდოდ მყოფი ფეხბურთელებით შეიქმნა, რვა ქულას უწია.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 6 | 0 | 0 | 15:2 | 18 |
| ზესტაფონი | 6 | 5 | 1 | 0 | 14:3 | 16 |
| ბორჯომი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| მესხეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| ამერი | 6 | 3 | 0 | 3 | 13:8 | 9 |
| მგლები | 6 | 3 | 0 | 3 | 5:5 | 9 |
| სიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 |
| სპარტაკი | 6 | 2 | 2 | 2 | 3:6 | 8 |
| ოლიმპი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:11 | 6 |
| დილა | 6 | 1 | 0 | 5 | 4:9 | 3 |
| მერანი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:14 | 3 |
| ბათუმი | 6 | 0 | 1 | 5 | 2:7 | 1 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 4 - | შ. ჯიქია | ბორჯომი |
| | მერებაშვილი | დინამო |
| | ხუციშვილი | დინამო |
| 3 - | იონანიძე | ზესტაფონი |
| | ვიეირა | ზესტაფონი |
| | ჭელიძე | ზესტაფონი |
| | კაიდარაშვილი | მესხეთი |
| | სპასოევიჩი | დინამო |
| | აკირემი | დინამო |
| | ტატანაშვილი | ამერი |
| | ფიფია | ზესტაფონი |
| | გელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| | ქარდავა | სიონი |





# სლომკას კობიაშვილი გაუხარდა
## ყენია შალკეს ფორუმში განიხილეს

**გელზენკირხენის** „შალკეს“ მწვრთნელი მირკო სლომკა მოხარულია ლევან კობიაშვილის გამოჯანმრთელებით და ამბობს, ახლა უკვე შემიძლია ნახევარდაცვაში ოპტიმალური შემადგენლობით და სქემით თამაშიო. სლომკასეული შუა ხაზი კი ასეთია: გამთამაშებელი ივან რაკიტიჩი და საყრდენები — ფაბიან ერნსტი და ლევან კობიაშვილი.

„ხუმარების“ ოფიციალურ ვებგვერდზე ლევანის მოკლე ინტერვიუც გამოქვეყნდა: „გადატვირთული კალენდარი გველის — თითქმის ყოველ სამ დღეში თამაშია და ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა ფეხბურთელი მწყობრში გვყავდეს. ყველასთვის ცნობილია, რომ დიდ ტურნირებზე ის გუნდები აღწევენ წარმატებას, რომლებსაც როტაციის საშუალება აქვთ“.

კობიაშვილი გულდაწყვეტილია „შალკეს“ „ვალენსიასთან“ მარცხით (0:1) ჩემპიონთა ლიგაში, თუმც ამბობს, ბუნდესლიგაში ჩინებულად მივდის საქმე, სტაბილურად ვთამაშობთ და იმედია, წინა სეზონში დაშვებულ შეცდომებს აღარ გავიმეორებთო.

რადგან „შალკეზე“ ვლაპარაკობთ, ლევან ყენიაზეც ვთქვათ: „ხუმარებში“ მის მოახლოებულ გადასვლაზე უკვე დაიწერა გერმანულ პრესაში, თუმც ისიც ჩანს, რომ იქაურები მხოლოდ მშრალ სტატისტიკას ფლობენ 16 წლის ქართველ ნახევარმცველზე.

ერთ-ერთი ვებგვერდის ფორუმზე კი გულშემატკივარი წერს:

„როგორც ვიცი, ყენიამ გერმანიის 17-წლამდელთა ნაკრებთან ითამაშა, ახლა კი ეროვნულ გუნდშია, რაც მის დიდ ტალანტზე მიუთითებს. ნეტავ, რაკიტიჩისნაირი კარგი ფეხბურთელი იყოს, მაგრამ პატარაა და, მგონი, ჯერ „შალკეს“ 19-წლამდელებში უნდა ითამაშოს“.

**ილია ნანობაშვილი**

ბაქოს „ნეფთჩის“ ქართველი შემტევი გიორგი ადამია ახალდაწყებულ აზერბაიჯანის ჩემპიონატში ისე ვერ ყოჩაღობს, როგორც შარშან და შარშანწინ, თუმც ამის მიზეზი ფეხის ტრავმა იყო. „ნეფთჩი“ აზერბაიჯანში მუდმივად ჩემპიონობისთვის იბრძვის, წლეულს კი, მით უმეტეს — გამოცდილი ჩეხი ვლასტიმილ პეტრჟელა დაუნიშნეს მწვრთნელად. 12 სექტემბერს საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანს ამხანაგურად ეთამაშა ბაქოში და, ცხადია, ადამიას ამაზეც ვკითხეთ...



# ადამიამ ნაკრებით ვერ გაიხარა

„რა გითხრათ, ძალიან გამიხარდებოდა, რომ ნაკრებში გამოვეძახებინე კლაუს ტოპმიოლერს, მაგრამ, როგორც ჩანს, კანდიდატად არც ვითვლები. ისე კი, მაინცდამაინც დიდი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია ამ მატჩს. ალბათ, ამხანაგური რომ იყო, იმიტომ.“

ეს ნაკრებზე, „ნეფთჩიში“ კი პეტრჟელა კარგი თვალით უყურებს ადამიას...

„მან იცის, რომ ტრავმირებული ვიყავი და ჯერჯერობით სრულყოფილ ფორმაში არ ვარ, თუმც სანამ „ნეფთჩიში“ ვარ, ამ გუნდისთვის არაფერს დავზოგავ.“

გიორგის ბაქოდან შესაძლო აბარგებაზე ერთი-ორჯერ ადრე ითქვა, თუმცა ჩვენიანს არსად ეჩქარება, სეზონის ბოლომდე მაქვს კონტრაქტი, იქამდე კი ზამთრის პაუზააა და წინადადებებს ველოდები, მაგრამ კონკრეტულად რომელიმე გუნდზე ჯერ არაა ლაპარაკიო...

„ვნახოთ, როგორ წავა საქმე. თუ კარგად ვითამაშებ, კარგ გუნდში წასვლის შანსი გაიზრდება. მანამდე კი, როგორც ყოველთვის, „ნეფთჩის“ ჩემპიონობაზე ვფიქრობ. წლეულს აუცილებლად ვიბრძოლებთ პირველობისთვის, მთავარი კონკურენტები კი „ხაზარი“, „ბაქი“ და „ინტერი“ არიან.“

**ილია ნანობაშვილი**

# ბათუმს სოსო ნასუაშვილი გაუთავკაცდა


ამირან გოგიტიძე

**„ბათუმს“** ახალი მთავარი მწვრთნელი დაახლოებით 5 ოქტომბერს ან ცოტა გვიან დაენიშნება, მანამდე კი ამ მოვალეობას სოსო ნასუაშვილი შეასრულებს, ვინაც სამიოდ დღის წინ გუნდიდან წასული თავკაცის, ნუკრი გოგიტიძის ასისტენტი გახლდათ.

გოგიტიძის კიდევ ერთი თანაშემწე, ალექსანდრე კანტიძე ასევე ავარჯიშებს გუნდს, მაგრამ მას ცხინვალის „სპარტაკთან“ მატჩის (0:1) შემდეგ არბიტრ კობა ჭაჭუას ფიზიკური შეურაცხყოფისთვის 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და სათადარიგოთა სკამიდან ველარ უხელმძღვანელებს გუნდს.

ნასუაშვილს კი მძიმე დებიუტი ელის: აუტსაიდერი „ბათუმი“ ხვალ თბილისში „დინამოს“ ეთამაშება.

**ილია ნანობაშვილი**

# შვედები ქართველ გოგონებს გაუწყრნენ

**შვედეთში** 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები 19-წლამდელ გოგონებს შორის უქართველებოდ დაიწყო. წესით, იქ შვედეთის, უნგრეთის, ყაზახეთისა და საქართველოს ნაკრებებს უნდა ეთამაშათ, მაგრამ როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა სანდრო ცნობილაძემ გვითხრა, გუნდი სავიზო პრობლემების გამო ვერ წავიდა ტურნირზე.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც ქართველ გოგონებს შვედეთში გამგზავრება უფერხდებათ — გეხსომებათ, ადრე საქართველოს ფრენბურთელ გოგონათა ნაკრებსაც არ მისცეს ვიზები ისე, რომ მიზეზიც არ აუხსნიათ.

ცნობისთვის, საქართველოში შვედეთის საკონსულო არ არის, ჰყავთ საპატიო ელჩი რომელიც, ფაქტობრივად, არაფერს წყვეტს — ყველა ფორმალური საკითხი საფრანგეთის საელჩოშია მოსაგვარებელი, ისინი კი...

არის თუ არა ფინანსური ჯარიმა ტურნირზე არ გამოცხადების გამო? ეს კითხვა ცნობილაძესაც დავუსვით, რომელმაც გვიპასუხა, რომ შვედეთში ჩაუსვლელობა ჩვენი ბრალი არ იყო და არა მგონია, ამაზე რაიმე ფინანსური ჯარიმა იყოსო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველო 0:15 რუმინეთი

**26-27 სექტემბერს** საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა რუმინეთში ორი ამხანაგური მატჩი გამართა და ორივე დიდი ანგარიშით — 0:8 და 0:7 წააგო.

26 სექტემბრის მატჩში ქართველთა კარში გოლები ჰერმანმა (2), ალ-იოანეიმ (2), სტოიკამ, სოტარკამ, ლორანდ და ლასლო შოჩებმა გაიტანეს.

27 სექტემბერს კი ქართველებს ხელი მოლომფალეამ (2), ჰერმანმა, ალ-იოანეიმ, შომამ, მიხალიმ და სტოიკამ მოუთავეს.

პეტრე თაბუკაშვილის გუნდისთვის რუმინული ტურნე ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იყო 2008 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი თამაშებისთვის, რომელიც მომავალი წლის თებერვლის ბოლოს ესპანეთში დაიწყება. მასპინძელთა გარდა ჩვენი მეტოქე ხორვატია იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გერმანია

## ბუნდესლიგა VII ტური

**ბაიერნი 5:0 კოტბუსი**

1:0 კლოზე (59), 2:0 დემიკელისი (63), 3:0 ტონი (69), 4:0, 5:0 კლოზე (75, 89)

ბაიერნი: კანი, ლელი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, იანსენი, ვან ბომელი, ზე რობერტო (კროოსი 72), ჰამიტ ალტინტოპი, რიბერი (შვაინშტაიგერი 71), კლოზე, ტონი (პოდოლსკი 72)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

კოტბუსი: პიპლიცა, ანგელოვი, და სილვა, მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ტ. როსტი, კუკიელკა, შაო (ბაუმგარტი 64), შკელა, რანგელოვი, სორენსენი (კიოიო 64)

მწვრთნელი: ჰაიკო ვებერი

გაფრთხილება: დემიკელისი, და სილვა

მსაჯი: ვაინერი

69 000 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:2 ლევერკუზენი**

0:1 კისლინგი (40), 1:1 მინტალი (73), 1:2 ბარნეტა (76)

ნიურნბერგი: ბლაჟეკი, დ. რაინჰარდტი, ბუჩამპი (კენედი 63), სპირანოვიჩი, პინოლა (ვიდოსიჩი 71), გალაშეკი, კლუგე, მისიმოვიჩი (შმიდტი 63), მინტალი, კრისტიანსენი, ხარისტეასი

მწვრთნელი: ფრანს მეიერი

ლევერკუზენი: ადლერი, კასტრო, ჰაგუი, მ. ფრიდრიხი, გრეშკო (შარპეი 60), ვიდალი (სინკიევიჩი 86), როლფსი, ბარბარესი, კისლინგი, ბარნეტა, გეკასი (შვეგლერი 79)

მწვრთნელი: მიხაელ სკიბე

გაფრთხილება: პინოლა, ბარბარესი, ვიდალი, კისლინგი

მსაჯი: გაგელმანი

40 458 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:0 ბოხუმი**

1:0 ჰილბერტი (50)

შტუტგარტი: შეფერი, ოსორიო, ტაში, ფ. მეირა, ბოკა, პარდო, ჰილბერტი, კედირა, ბაშთურქი (ა. ფარნერუდი 67), კაკაუ (მარიკა 65), გომესი (მაისნერი 87)

მწვრთნელი: არმინ ფეე

ბოხუმი: ლაშტუვკა, კონცა, მალტრიცი, იაია, ბიონიგი, იმჰოფი, დაბროვსკი, პფერცელი (ბეხმანი 62), გროტე (სესტაკი 62), ეპალე (შრიოდერი 77), მისიელი

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

გაფრთხილება: კედირა, იმჰოფი, ეპალე, დაბროვსკი

მსაჯი: მეიერი

34 000 მაყურებელი

**აინტრახტი 0:1 კარლსრუე**

0:1 ფრანცი (51)

აინტრახტი: პროლი, ჩამდავიკია, რუსი, კირიაკოსი, ოხსი (შაფტარი 80), ფინკი, ინამოტო (კიოლერი 46), ა. შტრაიტი, ა. მაიერი, ტაკაჰარა (ტურკი 66), ამანატიდისი

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

კარლსრუე: მ. მილერი, ა. გიორლიცი, ეგიმანი, ფრანცი, აიხნერი, ადუბე (პორჩელო 46), მუცელი, ტიმი, ჰაინალი (შტაფელდტი 78), კარნელი, ფრაისი (იაშვილი 70)

მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი

გაფრთხილება: კირიაკოსი, კარნელი

გაძევება: ა. გიორლიცი (86)

მსაჯი: ზეემანი

48 500 მაყურებელი

**არმინია 0:2 ჰანოვერი**

0:1 ჰუშტი (54), 0:2 ჰინტო (85)

არმინია: ჰაინი, კორჟინევი (კამპერი 67), მიატოვიჩი, ლანგკამპი, შულერი, კაუფი, კუჩერა, ბიომე, კამპანტაისი (მასმანიდისი 58), აიგლერი, ვიხნიარეკი

მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ფარენჰორსტი, ტარნატი, ბალიჩი (ლალა 38), შულცი, როზენტალი, ბრუგინკი (ჰინტო 83), ჰუშტი, ჰანკე (ლაუტი 87)

მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი

გაფრთხილება: ვიხნიარეკი, შულცი, ბიომე, აიგლერი, მასმანიდისი

მსაჯი: კირხერი

21 800 მაყურებელი




AFP

# კლოზე+ტონი=13

## ორნი დარჩნენ ქვეყანაში

**მიროსლავ** კლოზემ ჰეთ თრიქი შეასრულა და სეზონში უკვე რვა გოლი მოაგროვა.

მიუნხენის „ბაიერნმა" პირველ ტაიმში ვერ გატეხა „კოტბუსი", რომელსაც გასულ კვირას მწვრთნელი შეუცვალეს და პატრიკ სანდერის ნაცვლად ჰაიკო ვებერი დანიშნეს.

მარკ ვან ბომელი ტომისლავ პიპლიცასთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მეკარემ აჯობა, მანამდე კი კლოზემ ორი მომენტი ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ფრანკ რიბერიმ ჯარიმა გაიტანა, მაგრამ მსაჯმა არ ჩაუთვალა და ხელახლა შეასრულებინა. თხუთმეტ წუთში კი კლოზემ ანგარიში გახსნა — რიბერის დარტყმული მეკარემ მოიგერია და ფორვარდმა დაამატა. ამას მოჰყვა მარტინ დემიკელისის გოლი. რიბერიმ მარჯვნიდან ჩააწოდა, არგენტინელმა კი ბურთი მუხლით გააჩერა და ათიოდ მეტრიდან შეაგდო.

მერე ლუკა ტონის ჯერ მოვიდა, რომელმაც მეხუთე გოლი მიითვალა, ბოლოს კი მიროსლავ კლოზემ თოთხმეტწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაიტანა — ორჯერვე ტონი კროოსის პასით.

„პირველ ტაიმში „კოტბუსმა" ძალიან კარგად ითამაშა და საქმე გაგვირთულა, მაგრამ კლოზეს პირველი გოლის შემდეგ ყველაფერი საჩვენოდ აეწყო" — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

„ბაიერნის" 21 გოლიდან 13 კლოზე-ტონის ანგარიშზეა. მხოლოდ „შალკე" და „ბაიერნილა" დარჩნენ წაუგებელნი.

ოტმარ ჰიცფელდი მომდევნო ტურში „ლევერკუზენს" ესტუმრება, რომელიც მეორე ადგილზეა და ლიდერს სამი ქულით ჩამორჩება. მიხაელ სკიბეს გუნდმა სტუმრად ზედიზედ ორი მატჩი მოიგო. გასულ უქმეებზე „ჰანოვერს" სძლია, ამჯერად კი ნიურნბერგიდან წაიღო სამი ქულა.

„ლევერკუზენი" პირველ ტურში დამარცხდა და მას შემდეგ აღარ წაუგია.

„ნიურნბერგთან" ანგარიში შტეფან კისლინგმა გახსნა ტრანკილო ბარნეტას პასით. კისლინგი მეკარესთან პირისპირ გავიდა, გასცდა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

„ლევერკუზენის" მეგოლემ მეორე ტაიმში მეტოქე საჯარიმოში წააქცია და მასპინძელმა მარეკ მინტალმა პენალტი გაიტანა, მაგრამ სამ წუთში ბარნეტამ სხვაობა აღადგინა.

მატჩის მიწურულს ნიურნბერგელ პერ კლუგეს არ გაუმართლა — ბურთი ძელს მოარტყა.

„რეინჯერსთან" და „ვერდერთან" წაგებების შემდეგ „შტუტგარტმა" „ბოხუმს" სძლია და მეცხრე ადგილს უწია. პარდო-კაკაუს კომბინაცია რობერტო ჰილბერტმა გოლით დაასრულა, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში.

შეცვლაზე შესულ ალექსანდრ ფარნერუდს შეეძლო სხვაობის გაზრდა, მაგრამ ხარიხა შეაზანზარა.

„არმინიამ" სეზონში პირველი საშინაო მარცხი „ჰანოვერისგან" იწვნია, რომელმაც თავის მხრივ, სტუმრად მეორე გამარჯვება მიითვალა. არმინიელ ვიშნიარეკს მეხუთე წუთზე მართებდა გატანა, მაგრამ შვიდი მეტრიდან ააცილა, როცა ხელს არავინ უშლიდა.

ტაიმის ბოლოს სტუმარ მაიკ ჰანკესაც მსგავსი დაემართა და ცარიელ კარში ვერ გაიტანა.

შესვენების შემდეგ „ჰანოვერმა" პენალტი მოინაგრა — ვიშნიარეკმა საჯარიმოში ხელით ითამაშა. თერთმეტი მეტრიდან ჰუშტიმ დაარტყა და სტუმრები დააწინაურა.

მატჩის დასასრულს ალტინ ლალას პასით ჰინტომ მეორე შეაგდო და „არმინიას" გათანაბრების შანსი აღარ დაუტოვა.

„კარლსრუეს", ეტყობა, გასვლით მატჩებში უფრო ეხერხება უკეთ თამაში და მესამე მატჩი მოიგო. მეორე ტაიმში მაიკ ფრანცმა კუთხურის შედეგად შექმნილი არეულობით ისარგებლა და ხუთი მეტრიდან გაუტანა „აინტრახტს", რომელმაც პირველი საშინაო შეხვედრა წააგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 7 | 5 | 2 | 0 | 21:3 | 17 |
| ლევერკუზენი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:3 | 14 |
| შალკე | 7 | 3 | 4 | 0 | 14:6 | 13 |
| ჰამბურგი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:5 | 13 |
| ჰერტა | 7 | 4 | 0 | 3 | 11:11 | 12 |
| კარლსრუე | 7 | 4 | 0 | 3 | 8:10 | 12 |
| აინტრახტი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:6 | 11 |
| ვერდერი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:12 | 11 |
| შტუტგარტი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:10 | 10 |
| არმინია | 7 | 3 | 1 | 3 | 11:13 | 10 |
| ჰანოვერი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:12 | 10 |
| დორტმუნდი | 7 | 3 | 0 | 4 | 11:13 | 9 |
| ვოლფსბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | 8 |
| ბოხუმი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:10 | 8 |
| დუისბურგი | 7 | 2 | 0 | 5 | 8:11 | 6 |
| ჰანზა | 7 | 2 | 0 | 5 | 8:12 | 6 |
| ნიურნბერგი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:10 | 5 |
| კოტბუსი | 7 | 0 | 2 | 5 | 3:16 | 2 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| კლოზე (ბაიერნი) | 8 |
| პანტელიჩი (ჰერტა) | 5 |
| ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი) | 5 |
| ტონი (ბაიერნი) | 5 |
| პეტრიჩი (დორტმუნდი) | 4 |
| ბეხმანი (ბოხუმი) | 4 |
| იშიაკუ (დუისბურგი) | 4 |
| ვიშნიარეკი (არმინია) | 4 |
| ჰანკე (ჰანოვერი) | 4 |
| ა. მეიერი (აინტრახტი) | 4 |
| კურანი (შალკე) | 4 |

**VIII ტური**

28-30 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| შალკე | : | ჰერტა |
| ვერდერი | : | არმინია |
| ლევერკუზენი | : | ბაიერნი |
| ჰამბურგი | : | ვოლფსბურგი |
| ბოხუმი | : | ნიურნბერგი |
| ჰანოვერი | : | დუისბურგი |
| კოტბუსი | : | აინტრახტი |
| კარლსრუე | : | დორტმუნდი |
| ჰანზა | : | შტუტგარტი |

## მეორე ბუნდესლიგა

**VII ტური**

ალემანია — პადერბორნი 3:1; აუგსბურგი — ოსნაბრიუკი 2:0; აუე — ჰოფენჰაიმი 2:2; ზანკტ პაული — გლადბახი 0:3; კიოლნი — ფრაიბურგი 1:3; კარლ ცაისი — ოფენბახი 2:0; ლაუტერნი — ვეჰენი 0:2; კობლენცი — ფიურტი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუნხენი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:5 | 14 |
| გლადბახი | 7 | 4 | 2 | 1 | 14:10 | 14 |
| ფრაიბურგი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| ფიურტი | 7 | 4 | 2 | 1 | 9:5 | 14 |
| ვეჰენი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:12 | 13 |
| ოფენბახი | 7 | 4 | 0 | 3 | 9:11 | 12 |
| ალემანია | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| კიოლნი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 11 |
| მაინცი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:9 | 10 |
| კობლენცი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:11 | 10 |
| ზანკტ პაული | 7 | 3 | 0 | 4 | 7:10 | 9 |
| აუე | 7 | 2 | 2 | 3 | 12:11 | 8 |
| ჰოფენჰაიმი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:12 | 8 |
| ოსნაბრიუკი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | 8 |
| აუგსბურგი | 7 | 2 | 1 | 4 | 13:15 | 7 |
| კარლ ცაისი | 7 | 1 | 1 | 5 | 10:16 | 4 |
| ლაუტერნი | 7 | 0 | 3 | 4 | 4:10 | 3 |
| პადერბორნი | 7 | 0 | 2 | 5 | 1:9 | 2 |

# სეკომ უარი [illegible]

**მოსკოვის** „ლოკომოტივმა" ტურინის „იუვენტუსს" ბრანისლავ ივანოვიჩი არ მიჰყიდა.

ტურინული კლუბის სპორტული დირექტორი ალესიო სეკო რუსეთის დედაქალაქში ჩავიდა და „ლოკოს" პრეზიდენტ იური სიომინს ევაჭრა.

სეკო 10 მილიონს სთავაზობდა და სერბი მცველის წაყვანა იანვარში უნდოდა, მაგრამ სიომინმა იუარა, რადგან, მისი აზრით, ნიჭიერი ფეხბურთელის ფასი მალე კიდევ უფრო მოიმატებს.

# პსვ-მ მოიგო და გააგდეს

**პსვ** ჰოლანდიის თასიდან მოკვეთეს, რადგან დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ათამაშა „ჰერენვენთან", რომელსაც ოთხშაბათს 3:0 მოუგო.

მანუელ და კოშტამ წინა სეზონში სათასო ტურნირში ორი ყვითელი ბარათი მიიღო და ოთხშაბათის მატჩი უნდა გამოეტოვა.

კლუბის გენერალურმა მენეჯერმა იან რეკერმა ამ შეცდომის გამო ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და ქომაგებს მოუბოდიშა.

# ტომ ჯონსიანი

**სომხეთის** ნაკრებს ტრიო უთავკაცებს — ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რუბენ აირაპეტიანმა განაცხადა, რომ ეროვნულ გუნდს არმენ გიულბუდაგიანცი, ვარდან მინასიანი და ტომ ჯონსი ჩაიბარებენ.

სომხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იან პორტერფილდი ორი კვირის წინ კიბოთი გარდაიცვალა.

ჩვენი მეზობლები ევროშესარჩევში 13 ოქტომბერს სერბეთს უმასპინძლებენ, 17-ში ბელგიას ესტუმრებიან.

ხსენებული სამეული პორტერფილდის თანაშემწეებად მუშაობდნენ.

# ერერას ერა დასრულდა

**მექსიკის** ჩემპიონატი აგვისტოში დაიწყო და უკვე მეოთხე მწვრთნელი მოხსნეს.

ოთხშაბათს თანამდებობა დაატოვებინეს „მონტერეის" თავკაც მიგელ ერერას, რომელიც გუნდში 2004 წლიდან იყო.

მეცხრე ტურში „მონტერეიმ" „ტეკოსთან" 0:3 წააგო და მწვრთნელიც ამ მარცხს გადააყოლეს.

გუნდი ცხრა ქულით მეთოთხმეტე ადგილზეა.

# მამა ცუდადაა

**დევიდ ბექემის** მამა, 60 წლის ტედი საავადმყოფოშია. ოთხშაბათ საღამოს გულმა შეუტია და ოპერაცია გაუკეთეს, ახლა კი რეანიმაციაში წევს. ბექემი ლოს ანჯელესიდან ლონდონში გუშინ ჩაფრინდა, თვითმფრინავიდანაც პირველი გამოსულა. მას ავტომობილი დაახვედრეს, რომლითაც უმალ საავადმყოფოს მიაშურა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იტალია
## სერია A
## V ტური

### ფიორენტინა 2:2 რომა

0:1 მანჩინი (19), 1:1 გამბერინი (24), 1:2 ჟიული (37), 2:2 მუტუ (80პ)
ფიორენტინა: ფრეი, დაინელი (ბალძარეტი 76), გამბერინი, პასკუალი, უიფალუში, დონადელი, ლიბერანი (სანტანა 46), მონტოლივო, სემიოლი (ვიერი 72), მუტუ, პაცინი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
რომა: დონი, ფერარი, სისინიო (ესპოზიტო 86), მექსეში, ტონეტო, დე როსი, ჟიული, მანჩინი (პანუჩი 67), პიზარო, ტადეი (აკვილანი 36), ვუჩინიჩი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: დონადელი, მუტუ, მონტოლივო, მექსეში, ფერარი
გაძევება: დონადელი (85)
მსაჯი: ბერგონცი
38 000 მაყურებელი

### ჯენოა 3:2 უდინეზე

1:0, 2:0 ბორიელო (20, 47), 2:1 ასამოა (50), 3:1 ბორიელო (73პ), 3:2 მესტო (77)
ჯენოა: რუბინიო, ბოლო, დე როზა, ლუკარელი, იურიჩი, კონკო, ლეონი (სკარკი 50), პარო, საკრამენტო, ბორიელო (ნდიაი 85), სკული (ბეგა 59)
მწვრთნელი: ჯანპიერო გასპერინი
უდინეზე: ჰანდანოვიჩი, კოდა, დოსენა, ძაპატა, ზაპოტოჩნი (პელე 54), დაგოსტინო, ინლერი, მესტო, ასამოა (ფლორო ფლორესი 61), დი ნატალე, კალიარელა
მწვრთნელი: პასკუალე მარინი
გაფრთხილება: პარო, იურიჩი, ბეგა, მესტო, ზაპოტოჩნი, დი ნატალე, ძაპატა, კალიარელა
გაძევება: რუბინიო (50)
მსაჯი: ჩამპი
24 000 მაყურებელი

### ინტერი 3:0 სამპდორია

1:0, 2:0 იბრაჰიმოვიჩი (23, 49), 3:0 ფიგუ (58)
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაქსველი, კორდობა, სამუელი, ძანეტი, კამბიასო, სეზარი, დაკური, ფიგუ (სუაზო 83), კრესპო (პელე 75), იბრაჰიმოვიჩი (ადრიანო 63)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
სამპდორია: მირანტე, კამპანარო, ლუკინი, სალა, ძენონი, ფრანჩესკინი (კასანო 54), პალომბო, სამარკო, ციგლერი, ბელუჩი (დელვეკიო 63), კარაჩოლო (ბონაცოლი 71)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: იბრაჰიმოვიჩი, ციგლერი
მსაჯი: ტალიავენტო
42 013 მაყურებელი

### იუვენტუსი 4:0 რეჯინა

1:0 ლეგროტალიე (48), 2:0 სალიჰამიჯიჩი (50), 3:0 ტრეზეგე (76), 4:0 პალადინო (90)
იუვენტუსი: ბუფონი (ბელარდი 80), ლეგროტალიე, ბირინდელი, კრიშიტო, მოლინარო, ნოჩერინო, სალიჰამიჯიჩი (ოლივერა 78), ტიაგუ, ძანეტი, ტრეზეგე, პალადინო
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
რეჯინა: კამპანოლო, არონიკა, ლანძარო, მოდესტო, სტადსგაარდი, ბარეტო (ტონიოლსი 69), კაშონე, ჰალფრედსონი, ამორუზო, ჩერავოლო (მონტიელი 61), ჟოელსონი (კოცა 81)
მწვრთნელი: მასიმო ფიკადენტი
გაფრთხილება: ძანეტი, კაშონე, ლანძარო
მსაჯი: ჩელი
25 000 მაყურებელი

### ლაციო 3:1 კალიარი

1:0 როკი (48), 2:0 პანდევი (60), 2:1 აკვაფრესკა (70), 3:1 როკი (84)
ლაციო: მუსლერა, კრიბარი, სკალონი, ძაური, დე სილვესტრი (ბეჰრამი 46), ლედესმა, მაური, მუდინგაი, მუტარელი (მანფრედინი 85), პანდევი (მაკინვა 77), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
კალიარი: ფორტინი, აგოსტინი, ბიანკო, კანინი, ფერი, ბიონდინი, კონტი, დაგოსტინო (ფინი 46), ფოჯა, პაროვა (ლარივეი 51), მატრი (აკვაფრესკა 65)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: ძაური, მუსლერა, კონტი, ბიანკო, ფერი
მსაჯი: დონდარინი
15 000 მაყურებელი

### პალერმო 2:1 მილანი

0:1 ზეედორფი (10), 1:1 დიანა (73), 2:1 მიკოლი (90)
პალერმო: ფონტანა, ბარძალი, კასანი, ძაკარდო, ბრეშიანო (იანკოვიჩი 62), კასერტა (კავანი 61), დიანა, მილიაჩო, სიმპლისიო, ამაური, მიკოლი
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
მილანი: კალაჩი, იანკულოვსკი, კალაძე, ნესტა, ოდო, ემერსონი (ბროკი 76), გატუზო, კაკა, ზეედორფი, პირლო, ჯილარდინო (ინძაგი 76)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: სიმპლისიო, ემერსონი
მსაჯი: ფარინა
30 761 მაყურებელი

### კატანია 1:0 ემპოლი

1:0 მარტინესი (48)
კატანია: პოლიტო, სარდო (კოლუჩი 84), ტერლიცი, სტოვინი, ვარგასი, ედუსეი, ისკო, ტედესკო, მასკარა (ბაბუ 79), მარტინესი (სილვესტრი 84), სპინეზი
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
ემპოლი: ბალი, ტოსტო (ბუსკე 55), პიკოლო, მარძორატი, რაგი, მორო (ვანუკი 56), მარიანინი (საუდატი 68), მარკიზიო, აბატე, ანტონინი, ვოლპატო
მწვრთნელი: ჯიჯი კანი
გაფრთხილება: სარდო, საუდატი, მარკიზიო, ვანუკი, ტერლიცი
გაძევება: ტედესკო (88), მარძორატი (90)
მსაჯი: მარელი
15 887 მაყურებელი

### ნაპოლი 1:0 ლივორნო

1:0 სოსა (85)
ნაპოლი: ჯანელო, კონტინი, პ. კანავარო, დომიცი, გარისი, ბოლაჩინო, გარგანო, ჰამშიკი (მონტერვინო 85), სავინი, დე ძერბი (სოსა 64), ზალაიეტა (კალაიო 75)
მწვრთნელი: ედი რეია
ლივორნო: ამელია, გრანდონი, კნეჟევიჩი, პავანი (გალანტე 73), ე. ფილიპინი, იდიგალი, ლოვიზო, ა. ფილიპინი, პასკუალე, ტავანო (დე ვეჩი 69), ტრისტანი (ბოგდანი 58)
მწვრთნელი: ფერნანდო ორსი
გაფრთხილება: კონტინი, გრანდონი, სოსა
მსაჯი: მორგანტი
50 000 მაყურებელი

### პარმა 2:0 ტორინო

1:0 რეგინალდო (61), 2:0 კორადი (63)
პარმა: პავარინი, კოლი, პაჩი, კოუტუ, კასტელინი, დესენა (ძენონი 77), ჩიგარინი, მორონე, პიზანუ (მატეინი 90), რეგინალდო (პარავიჩინი 80), კორადი
მწვრთნელი: დომენიკო დი კარლო
ტორინო: სერენი, კომოტო, ნატალი, დე ლა ფიორე, რუბინი, ბარონე (ვენტოლა 67), კორინი, გრელა, რეკობა, როზინა (მოტა 55), ბიელანოვიჩი (მალონგა 82)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: დე ლა ფიორე, პავარინი
მსაჯი: რომეო
12 000 მაყურებელი

### სიენა 1:1 ატალანტა

1:0 ლორია (31), 1:1 დონი (61პ)
სიენა: ელეფტეროპულოსი, როსეტინი, პორტანოვა, ლორია, გრინი, იაროლიმი, ვერგასოლა, გალოპა (ფორესტიერი 71), ბუკი (კორვია 77), მაკარონე, ფრიკი (დე ჩელიე 57)
მწვრთნელი: ანდრეა მანდროლინი
ატალანტა: კოპოლა, რივალტა, კაროძიერი, კაპელი, ბელერი, პინტუ, ტისონე (ბერნარდინი 77), დე აშენტისი, ლანჯელა (პადოინი 46), დონი, ძამპანა (ფლოკარი 82)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: კაროძიერი, დე აშენტისი, ვერგასოლა, დონი, ფლოკარი, რივალტა, პადოინი
მსაჯი: პალანკა
7 000 მაყურებელი



სტეფანო კოლანტუონის „პალერმომ" „მილანი" დასცა

AFP

# მილანი წაგებას მსაჯს აბრალებს
## რომამ სენი გაიხსენა

**სერია A-ს** მე-5 ტური თვალსასეირო გამოდგა. უგოლოდ არც ერთი შეხვედრა არ დასრულებულა — 10 მატჩში 29 გოლი გავიდა და, ფაქტობრივად, ყველა შეხვედრა ძალიან საინტერესო და სანახაობრივი გამოვიდა.

დავიწყოთ „ფიორენტინა" — „რომათი". მატჩის გმირად სებასტიან ფრეი უნდა დავასახელოთ, მასპინძელთა მეკარემ არაერთხელ იხსნა თავისი გუნდი. „გლადიატორებმა" კი ძველი სენი — მომენტების გამოუყენებლობა — ვერაფრით გამოასწორეს.

აღვნიშნოთ, რომ „რომამ" კაპიტნისა და ლიდერის ფრანჩესკო ტოტის გარეშე ითამაშა, რომელსაც მცირე ტრავმა აქვს. ლუჩანო სპალეტიმ იგი ფლორენციაში საერთოდ არც ჩაიყვანა — გარისკვა არ მინდოდა, იგი მომავალ ტურში „ინტერთან" და ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერთან" აუცილებლად უნდა მყავდესო.

მე-19 წუთზე „რომა" ულამაზესი გოლით დაწინაურდა — დედაქალაქელთა მოკლე და ეფექტური კომბინაცია ამანტინო მანჩინიმ ბრწყინვალე დარტყმით დააგვირგვინა, მან ოდნავ წინ გამოსულ ფრეის ოსტატურად გადააგდო ბურთი.

ცოტა ხანში ალეშანდრე დონი კუთხურისას უხეშად შეცდა, რითაც ალესანდრო გამბერინიმ იხეირა და 1:1. 38-ე წუთზე კი ალბერტო აკვილანისა და მირკო ვუჩინიჩის აქტიურობით ლუდოვიკ ჟიულიმ გაიტანა და „რომამ" ტაიმი მოიგო.

მატჩის დასრულებამდე დაახლოებით ათი წუთი რჩებოდა, როცა შეცვლაზე შესული კრისტიან ვიერი მატეო ფერარიმ მოცელა. პენალტი კი ჩინებულად დაარტყა ადრიან მუტუმ.

85-ე წუთზე მარკო დონადელიმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მასპინძლები 10 კაცით დარჩნენ, მაგრამ ბოლო წუთებში ფლორენციელებმა თავის დაცვა შეძლეს.

„სანახაობრივი მატჩი იყო ორი ბრწყინვალე გუნდის მონაწილეობით. უნდა მოგვეგო, მაგრამ რამდენიმე შეცდომა დავუშვით და მომენტების გამოუყენებლობა ისევ ძვირად დაგვიჯდა. არა უშავს, მთავარია, ხარვეზები გამოვასწოროთ და ასე გავაგრძელოთ" — თქვა სპალეტიმ.

„ფიორენტინას" თავკაცი ჩეზარე პრანდელი: „ფანტასტიკური მატჩი იყო. ჩემმა ბიჭებმა მორიგი მძიმე გამოცდა ჩააბარეს. მათი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. სწორ გზაზე ვდგავართ და თუ თავდაუზოგავად მუშაობას გავაგრძელებთ, ვფიქრობ, მაღალ ადგილზე დარჩენას შევძლებთ."

„ინტერმა" დამაჯერებლად მოუგო „სამპდორიას" და კრიტიკოსები ცოტა ხნით ჩააჩუმა. „ნეროაძური" ისევ ზლატან იბრაჰიმოვიჩის ინდივიდუალური წყალობით გავიდა ფონს, მან ორი მშვენიერი გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. მესამე ერნან კრესპოს პასით ლუიშ ფიგუმ შეაგდო.

კიდევ უფრო დამაჯერებელია „იუვენტუსის" „რეჯინასთან" გამარჯვება — 4:0. „ბიანკონერიმ" კარი პირველად შეინახა მშრალად და კვლავ ყველაზე მეტი, 16 გოლი აქვს გატანილი.

კლაუდიო რანიერიმ ცოტა უცნაური გადაწყვეტილებები მიიღო — საერთოდ არ ათამაშა ვინჩენცო იაკინტა და ალესანდრო დელ პიერო. გუნდს აკლდნენ ზდენეკ გრიგერა, ჯორჯო კიელინი, სერხიო ალმირონი, მარკო მარკიონი, მაურო კამორანეზი, ჟან-ალენ ბუმსონგი, ჯონათან ძებინა და ჟორჟე ანდრადე. მიუხედავად ამისა და უგოლო პირველი ტაიმისა, „ბებერმა ქალბატონმა" მაინც იოლად იმარჯვა.

სეზონში პირველი მატჩი მოიგო „ლაციომ", რომელმაც „კალიარისთან" კარგად ითამაშა. ტომაზო როკიმ ორი მშვენიერი გოლი გაიტანა, ერთხელ გორან პანდევის, მეორე სტეფანო მაურის პასით. ერთიც თავად პანდევმა შეაგდო, ორი კაცი ერთი მოძრაობით გააბითურა და ძლიერად დაარტყა.

სტუმართაგან ახალგაზრდა რობერტ აკვაფრესკამ გაიტანა თავური.

ექსმილანელი მარკო ბორიელოს ორი კოხტა გოლით „ჯენოა" მშვიდად უგებდა „უდინეზეს", მაგრამ 50-ე წუთზე გენუელთა მეკარემ საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა და წითელი ბარათი მიიღო. რიკოშეტების დახმარებით იმ ჯარიმიდან უდინელებმა სხვაობა შეამცირეს. მალევე ანტონიო დი ნატალემ ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მსაჯმა ერთობ საეჭვო თამაშგარე დააფიქსირა.

74-ე წუთზე ბორიელო კრისტიან ძაპატამ წააქცია და პენალტი დაინიშნა. დაზარალებულმა თავად დაარტყა და ჰეთ თრიქი გაიფორმა. სამ წუთში ისევ რიკოშეტით „უდინეზემ" მეორე შეაგდო, მაგრამ სტუმრებმა მეტი ქულა ვერ შეძლეს.

სულ ცოტა დააკლდა „მილანს" და მიჯრით მეოთხე ფრეს ითამაშებდა, თან ისევ 1:1-ს, მაგრამ მესამე დამატებულ წუთზე ფაბრიციო მიკოლიმ საჯარიმო დარტყმით გაუტანა დაშავებული ნელსონ დიდას ნაცვლად კარში მდგარ ჟელკო კალაჩს და სიცილიელებმა 2:1 იმარჯვეს.

იქამდე აიმო დიანამ 73-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ ამაურიმ, რომელმაც მას საგოლე პასი მისცა, თითქოს უფრო ხელით გააჩერა ბურთი, ვიდრე მხრით, თუმცა სტეფანო ფარინამ ჩათვალა, რომ წესები არ დარღვეულა.

„მილანი" მე-10 წუთიდან იგებდა — ჯილარდინო-კაკას კარგი კომბინაცია კლარენს ზეედორფმა ტექნიკური დარტყმით დააგვირგვინა.

კარლო ანჩელოტი: „დამსახურებულად რომ წაგვეგო, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ ასე არ არის. ეს მარცხი მართლაც ძალიან მტკივნეულია, თან მსაჯმა გაგვწირა. ამაურიმ აშკარად ხელით გააჩერა ბურთი. წინა მატჩშიც სიენელმა მასიმო მაკარონემ თამაშგარედან გაგვიტანა. საერთოდ ბოლო პერიოდში მსაჯები არ გვწყალობენ. იმედია, ეს დროებითია".

„ჩემი აზრით, ამაურიმ მხრით მიიღო ბურთი, მაგრამ ამაზე საუბარს ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს. არ მგონია, ვიდეოგამეორებამაც კი ნათელი სურათი შექმნას. თუმცა ვთვლი, რომ დამსახურებულად მოვიგეთ, რადგან დაცვაში არ ჩავკეტილვართ და ბოლო მომენტამდე ვუტევდით" — განაცხადა „პალერმოს" მწვრთნელმა სტეფანო კოლანტუონომ.

**გიორგი ქაქაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 5 | 3 | 2 | 0 | 11:4 | 11 |
| ინტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:6 | 10 |
| ნაპოლი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 10 |
| პალერმო | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| ფიორენტინა | 5 | 2 | 3 | 0 | 9:6 | 9 |
| ატალანტა | 5 | 2 | 3 | 0 | 8:5 | 9 |
| უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| მილანი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:5 | 6 |
| ლაციო | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| პარმა | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| ჯენოა | 5 | 1 | 3 | 1 | 4:6 | 6 |
| კატანია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| სამპდორია | 5 | 1 | 2 | 2 | 2:6 | 5 |
| კალიარი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| ტორინო | 5 | 0 | 4 | 1 | 6:8 | 4 |
| სიენა | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |
| ემპოლი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:6 | 2 |
| ლივორნო | 5 | 0 | 2 | 3 | 6:13 | 2 |
| რეჯინა | 5 | 0 | 2 | 3 | 3:11 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| იბრაჰიმოვიჩი (იუვენტუსი) | 6 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 6 |
| ტოტი (რომა) | 4 |
| მუტუ (ფიორენტინა) | 4 |
| ბორიელო (ჯენოა) | 4 |

### VI ტური

29-30 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| კალიარი | : | სიენა |
| ემპოლი | : | პალერმო |
| ლივორნო | : | ფიორენტინა |
| მილანი | : | კატანია |
| ნაპოლი | : | ჯენოა |
| რეჯინა | : | ლაციო |
| რომა | : | ინტერი |
| სამპდორია | : | ატალანტა |
| ტორინო | : | იუვენტუსი |
| უდინეზე | : | პარმა |

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი V ტური

### ბარსელონა 4:1 სარაგოსა

1:0 მესი (5), 1:1 საპატერი (10), 2:1 მესი (11), 3:1 ინიესტა (22), 4:1 მარკესი (45)
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა (ოლეგერი 20), მარკესი, გ. მილიტო, აბიდალი, ხავი, იაია ტურე, დეკო (დოს სანტოსი 73), მესი (კრკიჩი 83), ინიესტა, ანრი
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
სარაგოსა: სეზარი, დიოგო, სერხიო, პავონი, ხუანფრანი, ლუკინი (გაბი 46), მატუზალენი (ერერო 54), საპატერი, აიმარი, ოლივეირა, დ. მილიტო (სერხიო გარსია 59)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: იაია ტურე, მარკესი, დიოგო, ერერო, გაბი
მსაჯი: ველასკო კარვალიო
70 676 მაყურებელი

### ვალენსია 2:1 ხეტაფე

1:0 სილვა (16), 2:0 ვილია (31), 2:1 ბრაულიო (76)
ვალენსია: ჰილდებრანდი, მიგელი, ალბიოლი, ალექსისი, მორეტი, ხოაკინი (არისმენდი 90), ალბელდა, ბარახა (მ. ფერნანდეში 61), სილვა, ვილია, მორიენტესი (ანგულო 69)
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
ხეტაფე: უსტარი, დ. კორტესი, ბელენგერი, დიასი, ლიხტი, დე ლა რედი, პ. ერნანდესი, სოუზა (მანუ 46), კასკერო, ნაჩო (გრანერო 81), უჩე (ბრაულიო 73)
მწვრთნელი: მიქაელ ლაუდრუპი
გაფრთხილება: ბარახა, ალბიოლი, მიგელი, ნაჩო, მანუ
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი
45 000 მაყურებელი

### მალიორკა 4:2 ვალიადოლიდი

0:1 ოგბენე (5), 0:2 ვიქტორი (25), 1:2 მუნიესი (50), 2:2 არანგო (53), 3:2 კასადესუსი (84), 4:2 არანგო (87)
მალიორკა: მოია, ექტორი, დ. ნავარო, მუნიესი, ფ. ნავარო (ვარელა 82), ხონასი, ბასინასი, იბაგასა (ვალერო 74), კასტრო (კასადესუსი 46), არანგო, გუიზა
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ვალიადოლიდი: ბუტელე, კოფუენტესი, არექსისი, რაფა, მარკოსი, ესტოიანოფი (ლორენტე 82), ვივარი, დორადო, ბორხა (რუბიო 57), კაპდევილა (სესმა 60), ვიქტორი, ოგბენე
მწვრთნელი: ხოსე ლუის მენდილიბარი
გაფრთხილება: კარსადესუსი, ბორხა, მარკოსი, ვიქტორი
მსაჯი: მეხია დავილა
13 200 მაყურებელი

### ბილბაო 0:2 ატლეტიკო

0:1 აგერო (12), 0:2 ფორლანი (78)
ბილბაო: ირაისოსი, ირაოლა, ოსიო, უსტარიცი (ლორენტე 85), დელ ორნო, მუნიოსი, ხ. მარტინესი (ველესი 49), ეჩებერია, სუსაეტა, დ. ლოპესი (კუელარი 73), ადურისი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, პაბლო, პერეა (ზე კასტრო 46), პერნია, სიმაო (მაქსი როდრიგესი 60), რ. გარსია, მანიშე, რეიესი (ლუის გარსია 66), აგერო, ფორლანი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ადურისი, ოსიო, უსტარიცი, სეიტარიდისი, აგერო, პერნია, რეიესი, მანიშე
მსაჯი: მუნიოს ფერნანდესი
35 000 მაყურებელი

### მურსია 0:1 ალმერია

0:1 მელო (41)
მურსია: ნოტარიუ, მეხია, პენია, პინოლი (ი. ალონსო 85), არსო, მოვილია, გალიარდო, რეგუეირო, ბოიტომი, კიკო (აბელი 70), ბაიანო (ინიგო 76)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
ალმერია: კობენიო, კ. გარსია, აკასიეტე, მანე, ხუანიტო, სორიანო, კალუ, კრუსატი, ბრუნო (აიტორი 65), მელო (კორონა 72), ორტისი (ნატალიო 68)
მწვრთნელი: უნაი ემერი
გაფრთხილება: მეხია, პენია, პინოლი, ბრუნო, ორტისი
გაძევება: გალიარდო (59), რეგუეირო (63)



AFP

მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
24 250 მაყურებელი

### ოსასუნა 4:1 ლევანტე

1:0 პანდიანი (32), 1:1 ეტიენი (34), 2:1 პანდიანი (52), 3:1 ხუანფრანი (57), 4:1 ხ. გარსია (77)
ოსასუნა: რიკარდო, ისკიერდო, მ. ფლანიო, ხოსეჩო, კორალესი, ხუანფრანი (ველა 81), პუნიალი, ხ. გარსია, დელპორტე (პლასილი 27), პორტილიო (ფონტი 70), პანდიანი
მწვრთნელი: პაკო სიგანდა
ლევანტე: სტორარი, მანოლო, სერანო, ჩირილო, რუბიალესი, ბერსონი (ვიკეირა 60), მიგელი, ანხელი, ეტიენი (ხუანმა 72), პედრო ლეონი, კურტოისი (რიგანო 57), გეიხო
მწვრთნელი: აბელ რესინო
გაფრთხილება: პუნიალი, რუბიალესი, ეტიენი, ბერსონი
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი
15 405 მაყურებელი

### რასინგი 0:2 ვილიარეალი

0:1 ნიჰათი (39), 0:2 ჯ. როსი (77)
რასინგი: ტონიო, პინილიოსი, ორიოლი (ს. სანჩესი 17), გარაი, ლ. ფერნანდესი, ხ. ლოპესი, დუშერი, კოლსა, სერანო (ტჩიტე 69), მუნიტისი, შმოლიარეკი (ბოლადო 85)
მწვრთნელი: მარსელინო გარსია ტორალი
ვილიარეალი: რიერა, ანხელი, ფუენტესი, სიგანი, კაპდევილა, კანი, სენა, ხოსიკო, მ. ფერნანდესი (პირესი 74), ნიჰათი (კასორლა 61), ჯ. როსი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: სენა, ვიერა, სიგანი, კანი
გაძევება: დუშერი (63)
მსაჯი: ბერნალდინო გონსალეს ვასკესი
15 036 მაყურებელი

### დეპორტივო 0:2 უელვა

0:1 მარტინესი (13), 0:2 ხ. გერერო (47)
დეპორტივო: აუატე, ბარაგანი, აიტამი, კოლოჩინი, მ. პაბლო, ლაფიტა (ბოდიპო 56), სერხიო, ხ. როდრიგესი (ვერდუ 60), გვარდადო, რიკი, ტაბორდა (ადრიანო 68)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
უელვა: სორენტინო, ედუ მოია, კასტრესი, ბეტუ, დანი ბაუტისტა, ვარელა (აიტორი 61), მარტინესი (ზაიმოსი 68), კასერესი, მარკიტოსი, კამუნიასი, ხ. გერერო (კონგო 63)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: მარტინესი
მსაჯი: დელგადო ფერეირო
10 000 მაყურებელი

### რეალი — ბეტისი

*გვიან დამთავრდა (იხილეთ მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის*

# მესი!

ეს ნამდვილი, ძველი „ბარსელონა“ იყო. ისეთი, როგორიც ხალხს უკვე კარგა ხანია, არ უნახავს და ოთხშაბათ საღამოს „კამპ ნოუზე“ მისულმა გულშემატკივრებმაც დიდად გაიხარეს. ფრანკ რაიკარდის გუნდმა ტრავმებში და ეჭვებში ჩაძირული რონალდინიო ერთი მატჩით დაივიწყა და „სარაგოსას“ ანდერძი აუგო.

არაგონელთა არმადა კატალონიელთა მარწუხებში საცოდავ სათამაშოდ იქცაო — წერდა მატჩის მეორე დღეს ესპანური პრესა. ეს „სათამაშო“ კი ყველაზე მეტად ლეო მესიმ აბურთავა — რონალდინიოს არყოფნაში „პულგა“ „ბარსას“ ჭეშმარიტ ლიდერად გადაიქცა და ესპანურმა „მარკამაც“ დაწერა — „დღევანდელი „ბარსელონა“ მესის პლუს ათი დანარჩენია“.

ანგარიში მასპინძლებმა მეხუთე წუთზე გახსნეს. მესიმ ტიერი ანრის პასით ისარგებლა და პირველი გოლი შეაგდო. „სარაგოსამ“ საპატერის წყალობით მალევე გაათანაბრა, თუმც არაგონელის გოლიდან ერთ წუთში მეტოქეთა ჯალათმა მესიმ ისევ წინ გაიყვანა თავისი გუნდი და უეცარი შოკით მომხვდურებს პრაქტიკულად ბოლო მოუღო.

ტაიმის დამთავრებამდე ანდრეს ინიესტამ ძველი რეალელი სეზარ სანჩესი კიდევ ერთი გოლით გაანაწყენა, ხოლო შესვენებამდე წამებით ადრე „სარაგოსას“ წამება რაფაელ მარკესმა ზუსტი თავურით დაასრულა.

მეორე ტაიმში ანგარიში უცვლელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ანრის რამდენჯერმე შეეძლო გატანა.

სანახაობრივად ლაზათიანი გამოდგა წინა დღეს „სანჩეს პისხუანზე“ გამართული ჯახიც — „სევილიამ“ „ესპანიოლს“ უმასპინძლა და 2:3 წააგო.

ბარსელონელებმა ანდალუზიელებს შარშან თასის ფინალში განცდილი მარცხისთვის სამაგიერო გადაუხადეს, ხოლო გამარჯვების გოლი „ესპანიოლის“ კაპიტანმა რაულ ტამუდომ გაიტანა.

მატჩი პირდაპირ ეთერში ტელეკომპანიებს შორის ატეხილი დავის გამო ესპანეთში ვერ უყურეს.

კიკე ფლორესის „ვალენსია“ ჯერჯერობით შეუჩერებელია. „ღამურებმა“ მეხუთე ტურში „ხეტაფე“ დაამარცხეს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვალენსიამ“ საამსეზონო ლა ლიგაში ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო. „ხეტაფე“ კი დავიდებს შეეწირა, სილვასა და ვილიას.

ცხრა სეზონია, „ვილიარეალი“ პრიმერადივიზიონში თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში „ყვითლები“ პირველად გუშინწინ გახდნენ ლა ლიგის ლიდერები.

„ვილიარეალმა“ „რასინგს“ სტუმრად ნიჰათის და ჯუზეპე როსის გოლებით მოუგო და „რეალ“ — „ბეტისის“ ჯახის მოლოდინში ცხრილის თავში გადაინაცვლა.

„ატლეტიკოს“ ბილბაოში ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ მადრიდელებმა შესანიშნავი არგენტინელის, სერხიო აგეროს აქტიურობით მაინც გაიმარჯვეს. „კუნი“ მესის თანამემამულეა და „პულგასთან“ ერთად ესპანეთსა თუ ევროპაში რჩეულ პატაგონიელად ითვლება.

„მალიორკამ“ კი „ვალიადოლიდთან“ მეორე ტაიმში სასწაულებრივი ნებისყოფა გამოავლინა და 0:2 წაგებული პირველი ტაიმი საბოლოოდ 4:2 მოიგო. კუნძულელთა გამორჩეული ვარსკვლავი არანგო იყო.

„უელვა“ კარგ ფორმაშია, „რიასორზე“ „დეპორტივო“ აიკლო და ცხრილში მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა. გალისიელები კი სეგუნდაში გასავარდნ პოზიციებს მიუახლოვდნენ.

„ალმერიამ“ „მურსიას“ პირველ ტაიმში მოუგო, მეორეში მოედანზე ძირითადად ერთმანეთს ჩეხავდნენ და „მურსიასაც“ ორი კაცი გაუგდეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილიარეალი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:5 | 12 |
| ვალენსია | 5 | 4 | 0 | 1 | 8:7 | 12 |
| ბარსელონა | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 11 |
| რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 10 |
| ატლეტიკო | 5 | 2 | 2 | 1 | 9:4 | 8 |
| მალიორკა | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 8 |
| უელვა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| ალმერია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| ესპანიოლი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| სევილია | 4 | 2 | 0 | 2 | 11:7 | 6 |
| ოსასუნა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:3 | 5 |
| ვალიადოლიდი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | 5 |
| მურსია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| სარაგოსა | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 |
| ბილბაო | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | 5 |
| დეპორტივო | 5 | 1 | 2 | 2 | 3:7 | 5 |
| რასინგი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:7 | 5 |
| ბეტისი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| ხეტაფე | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |
| ლევანტე | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| სნეიდერი (რეალი) | 4 |
| კანუტი (სევილია) | 4 |
| აგერო (ატლეტიკო) | 4 |
| მესი (ბარსელონა) | 4 |
| როსი (ვილიარეალი) | 4 |
| კერჟაკოვი (სევილია) | 3 |
| გიზა (მალიორკა) | 3 |
| გერერო (უელვა) | 3 |
| ლუის გარსია (ესპანიოლი) | 3 |

VI ტური
29-30 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| სარაგოსა | : | სევილია |
| ლევანტე | : | ბარსელონა |
| ატლეტიკო | : | ოსასუნა |
| ვილიარეალი | : | ბილბაო |
| ალმერია | : | რასინგი |
| ვალიადოლიდი | : | მურსია |
| ბეტისი | : | მალიორკა |
| ხეტაფე | : | რეალი |
| უელვა | : | ვალენსია |
| ესპანიოლი | : | დეპორტივო |

| 16351 | აპელდორნი-ჰელმონდი | 1.70 | 1.95 |
| 16352 | ოსი-კამბური | 1.62 | 2.05 |
| 16353 | ომნივორლდი-ვეენდამი | 1.95 | 1.65 |
| 16354 | ტილსტარი-დენ ჰააგი | 1.62 | 2.05 |
| 16355 | ვალვაიკი-დენ ბოსხი | 1.32 | 3.00 |
| 16356 | იგლზი-ზვოლე | 1.55 | 2.20 |
| 16883 | ვესტერლო-სერკლი | 1.55 | 2.20 |
| 16890 | ემენი-სიტარდი | 1.38 | 2.65 |

## გოლი: ლუწი-1, კენტი-2
(0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17108 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17109 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17110 | ჰანოვერი-დუისბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17111 | კოტბუსი -აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17112 | კარლსრუე-დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17113 | ჰანზა-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17114 | შალკე-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17115 | ვერდერი-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17117 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17127 | ფიურტი-კარლ ცაისი | 1.85 | 1.95 |
| 17128 | მიუნხენი 1860-კობლენცი | 1.85 | 1.95 |
| 17129 | პადერბორნი-აუგსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17130 | ოფენბახი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17131 | ვეენი-კოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17132 | ჰოფენჰაიმი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17133 | ოსნაბრიუკი-ზტ.პაული | 1.85 | 1.95 |
| 17134 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17135 | ფრაიბურგი-აუე | 1.85 | 1.95 |
| 17308 | აიაჩო-ლე ავრი | 1.85 | 1.95 |
| 17309 | ანჟე-ამიენი | 1.85 | 1.95 |
| 17310 | ბულონი-რეიმსი | 1.85 | 1.95 |
| 17311 | დიჟონი-ბრესტი | 1.85 | 1.95 |
| 17312 | გრენობლი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17313 | გენიონი-ლიბურნი | 1.85 | 1.95 |
| 17314 | გენგამი-შატორუ | 1.85 | 1.95 |
| 17316 | ნიორი-ბასტია | 1.85 | 1.95 |
| 17317 | ტრუა-კლერმონი | 1.85 | 1.95 |
| 17319 | ბრიუგე-მუსკრონი | 1.85 | 1.95 |
| 17320 | ბეერსხოტი-გენტი | 1.85 | 1.95 |
| 17321 | ლოკერენი-ბრიუსელი | 1.85 | 1.95 |
| 17322 | მეხელენი-დენდერი | 1.85 | 1.95 |
| 17323 | მონსი-გენკი | 1.85 | 1.95 |
| 17324 | რუზელარე-ვარეგემი | 1.85 | 1.95 |
| 17325 | სტ.ტრუიდენი-სტანდარდი | 1.85 | 1.95 |
| 17326 | ანდერლეხტი-შარლერუა | 1.85 | 1.95 |
| 17348 | ჰაარლემი-როზენდალი | 1.85 | 1.95 |
| 17349 | მაასტრიხტი-ვოლენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17350 | ეინდჰოვენი-დორდრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17351 | აპელდორნი-ჰელმონდი | 1.85 | 1.95 |
| 17352 | ოსი-კამბური | 1.85 | 1.95 |
| 17353 | ომნივორლდი-ვეენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17354 | ტილსტარი-დენ ჰააგი | 1.85 | 1.95 |
| 17355 | ვალვაიკი-დენ ბოსხი | 1.85 | 1.95 |
| 17356 | იგლზი-ზვოლე | 1.85 | 1.95 |
| 17883 | ვესტერლო-სერკლი | 1.85 | 1.95 |
| 17890 | ემენი-სიტარდი | 1.85 | 1.95 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10108 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10109 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10110 | ჰანოვერი-დუისბურგი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10111 | კოტბუსი -აინტრახტი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10112 | კარლსრუე-დორტმუნდი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10113 | ჰანზა-შტუტგარტი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10114 | შალკე-პერტა | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10115 | ვერდერი-არმინია | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10117 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 4.30 | 2.00 | 2.20 | 1.36 | 1.45 | 1.04 |
| 10127 | ფიურტი-კარლ ცაისი | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10128 | მიუნხენი 1860-კობლენცი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10129 | პადერბორნი-აუგსბურგი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10130 | ოფენბახი-კაიზერსლაუტერნი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10131 | ვეენი-კიოლნი | 3.25 | 2.00 | 2.70 | 1.23 | 1.47 | 1.14 |
| 10132 | ჰოფენჰაიმი-მაინცი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10133 | ოსნაბრიუკი-ზტ.პაული | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10134 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10135 | ფრაიბურგი-აუე | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10308 | აიაჩო-ლე ავრი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10309 | ანჟე-ამიენი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10310 | ბულონი-რეიმსი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10311 | დიჟონი-ბრესტი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10312 | გრენობლი-ნანტი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10313 | გენიონი-ლიბურნი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10314 | გენგამი-შატორუ | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10316 | ნიორი-ბასტია | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10317 | ტრუა-კლერმონი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10319 | ბრიუგე-მუსკრონი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10320 | ბეერსხოტი-გენტი | 3.05 | 2.00 | 2.90 | 1.20 | 1.48 | 1.18 |
| 10321 | ლოკერენი-ბრიუსელი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10322 | მეხელენი-დენდერი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10323 | მონსი-გენკი | 4.15 | 2.00 | 2.25 | 1.34 | 1.45 | 1.05 |
| 10324 | რუზელარე-ვარეგემი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10325 | სტ.ტრუიდენი-სტანდარდი | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10326 | ანდერლეხტი-შარლერუა | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10348 | ჰაარლემი-როზენდალი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10349 | მაასტრიხტი-ვოლენდამი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10350 | ეინდჰოვენი-დორდრეხტი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10351 | აპელდორნი-ჰელმონდი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10352 | ოსი-კამბური | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10353 | ომნივორლდი-ვეენდამი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10354 | ტელსტარი-დენ ჰააგი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10355 | ვალვაიკი-დენ ბოსხი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10356 | იგლზი-ზვოლე | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10883 | ვესტერლო-სერკლი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10890 | ემენი-სიტარდი | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11108 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11109 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11110 | ჰანოვერი-დუისბურგი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11111 | კოტბუსი -აინტრახტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11112 | კარლსრუე-დორტმუნდი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11113 | ჰანზა-შტუტგარტი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11114 | შალკე-პერტა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11115 | ვერდერი-არმინია | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11117 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11127 | ფიურტი-კარლ ცაისი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11128 | მიუნხენი 1860-კობლენცი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11129 | პადერბორნი-აუგსბურგი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11130 | ოფენბახი-კაიზერსლაუტერნი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11131 | ვეენი-კიოლნი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11132 | ჰოფენჰაიმი-მაინცი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11133 | ოსნაბრიუკი-ზტ.პაული | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11134 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11135 | ფრაიბურგი-აუე | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11308 | აიაჩო-ლე ავრი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11309 | ანჟე-ამიენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11310 | ბულონი-რეიმსი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11311 | დიჟონი-ბრესტი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11312 | გრენობლი-ნანტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11313 | გენიონი-ლიბურნი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11314 | გენგამი-შატორუ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11316 | ნიორი-ბასტია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11317 | ტრუა-კლერმონი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11319 | ბრიუგე-მუსკრონი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11320 | ბეერსხოტი-გენტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11321 | ლოკერენი-ბრიუსელი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11322 | მეხელენი-დენდერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11323 | მონსი-გენკი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11324 | რუზელარე-ვარეგემი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11325 | სტ.ტრუიდენი-სტანდარდი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11326 | ანდერლეხტი-შარლერუა | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11348 | ჰაარლემი-როზენდალი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11349 | მაასტრიხტი-ვოლენდამი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11350 | ეინდჰოვენი-დორდრეხტი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11351 | აპელდორნი-ჰელმონდი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11352 | ოსი-კამბური | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11353 | ომნივორლდი-ვეენდამი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11354 | ტელსტარი-დენ ჰააგი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11355 | ვალვაიკი-დენ ბოსხი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11356 | იგლზი-ზვოლე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11883 | ვესტერლო-სერკლი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11890 | ემენი-სიტარდი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12108 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.75 |
| 12109 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.75 |
| 12110 | ჰანოვერი-დუისბურგი | 1.80 | 1.65 |
| 12111 | კოტბუსი -აინტრახტი | 1.75 | 1.70 |
| 12112 | კარლსრუე-დორტმუნდი | 1.85 | 1.60 |
| 12113 | ჰანზა-შტუტგარტი | 1.85 | 1.60 |
| 12114 | შალკე-პერტა | 1.90 | 1.55 |
| 12115 | ვერდერი-არმინია | 2.10 | 1.45 |
| 12117 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2.00 | 1.50 |
| 12127 | ფიურტი-კარლ ცაისი | 1.90 | 1.70 |
| 12128 | მიუნხენი 1860-კობლენცი | 2.00 | 1.60 |
| 12129 | პადერბორნი-აუგსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12130 | ოფენბახი-კაიზერსლაუტერნი | 1.70 | 1.80 |
| 12131 | ვეენი-კიოლნი | 1.90 | 1.70 |
| 12132 | ჰოფენჰაიმი-მაინცი | 1.90 | 1.70 |
| 12133 | ოსნაბრიუკი-ზტ.პაული | 1.90 | 1.70 |
| 12134 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 1.90 | 1.70 |
| 12135 | ფრაიბურგი-აუე | 1.90 | 1.70 |
| 12308 | აიაჩო-ლე ავრი | 1.60 | 2.00 |
| 12309 | ანჟე-ამიენი | 1.50 | 2.10 |
| 12310 | ბულონი-რეიმსი | 1.60 | 2.00 |
| 12311 | დიჟონი-ბრესტი | 1.50 | 2.10 |
| 12312 | გრენობლი-ნანტი | 1.60 | 2.00 |
| 12313 | გენიონი-ლიბურნი | 1.60 | 2.00 |
| 12314 | გენგამი-შატორუ | 1.50 | 2.10 |
| 12316 | ნიორი-ბასტია | 1.60 | 2.00 |
| 12317 | ტრუა-კლერმონი | 1.60 | 2.00 |
| 12319 | ბრიუგე-მუსკრონი | 1.90 | 1.55 |
| 12320 | ბეერსხოტი-გენტი | 1.80 | 1.65 |
| 12321 | ლოკერენი-ბრიუსელი | 1.75 | 1.70 |
| 12322 | მეხელენი-დენდერი | 1.80 | 1.65 |
| 12323 | მონსი-გენკი | 1.80 | 1.65 |
| 12324 | რუზელარე-ვარეგემი | 1.80 | 1.65 |
| 12325 | სტ.ტრუიდენი-სტანდარდი | 2.10 | 1.45 |
| 12326 | ანდერლეხტი-შარლერუა | 2.00 | 1.50 |
| 12348 | ჰაარლემი-როზენდალი | 2.00 | 1.50 |
| 12349 | მაასტრიხტი-ვოლენდამი | 2.20 | 1.40 |
| 12350 | ეინდჰოვენი-დორდრეხტი | 2.30 | 1.40 |
| 12351 | აპელდორნი-ჰელმონდი | 2.30 | 1.35 |
| 12352 | ოსი-კამბური | 2.10 | 1.45 |
| 12353 | ომნივორლდი-ვეენდამი | 2.20 | 1.40 |
| 12354 | ტელსტარი-დენ ჰააგი | 2.00 | 1.50 |
| 12355 | ვალვაიკი-დენ ბოსხი | 2.10 | 1.45 |
| 12356 | იგლზი-ზვოლე | 2.10 | 1.45 |
| 12883 | ვესტერლო-სერკლი | 1.75 | 1.70 |
| 12890 | ემენი-სიტარდი | 2.10 | 1.45 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
## (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13108 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 13109 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.70 | 1.90 |
| 13110 | ჰანოვერი-დუისბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13111 | კოტბუსი -აინტრახტი | 1.70 | 1.90 |
| 13112 | კარლსრუე-დორტმუნდი | 1.60 | 2.00 |
| 13113 | ჰანზა-შტუტგარტი | 1.60 | 2.00 |
| 13114 | შალკე-პერტა | 1.70 | 1.90 |
| 13115 | ვერდერი-არმინია | 1.60 | 2.00 |
| 13117 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 1.50 | 2.00 |
| 13319 | ბრიუგე-მუსკრონი | 1.60 | 1.85 |
| 13320 | ბეერსხოტი-გენტი | 1.60 | 1.85 |
| 13321 | ლოკერენი-ბრიუსელი | 1.65 | 1.80 |
| 13322 | მეხელენი-დენდერი | 1.60 | 1.85 |
| 13323 | მონსი-გენკი | 1.60 | 1.85 |
| 13324 | რუზელარე-ვარეგემი | 1.65 | 1.80 |
| 13325 | სტ.ტრუიდენი-სტანდარდი | 1.55 | 1.90 |
| 13326 | ანდერლეხტი-შარლერუა | 1.80 | 1.65 |
| 13348 | ჰაარლემი-როზენდალი | 1.40 | 2.20 |
| 13349 | მაასტრიხტი-ვოლენდამი | 1.30 | 2.35 |
| 13350 | ეინდჰოვენი-დორდრეხტი | 1.30 | 2.45 |
| 13351 | აპელდორნი-ჰელმონდი | 1.30 | 2.45 |
| 13352 | ოსი-კამბური | 1.35 | 2.30 |
| 13353 | ომნივორლდი-ვეენდამი | 1.30 | 2.30 |
| 13354 | ტელსტარი-დენ ჰააგი | 1.40 | 2.10 |
| 13355 | ვალვაიკი-დენ ბოსხი | 1.40 | 2.20 |
| 13356 | იგლზი-ზვოლე | 1.35 | 2.30 |
| 13883 | ვესტერლო-სერკლი | 1.65 | 1.80 |
| 13890 | ემენი-სიტარდი | 1.40 | 2.20 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14108 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14109 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.80 | 2.00 |
| 14110 | ჰანოვერი-დუისბურგი | 1.65 | 2.30 |
| 14111 | კოტბუსი -აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 14112 | კარლსრუე-დორტმუნდი | 1.95 | 1.85 |
| 14113 | ჰანზა-შტუტგარტი | 2.10 | 1.75 |
| 14114 | შალკე-პერტა | 1.30 | 2.50 |
| 14115 | ვერდერი-არმინია | 1.30 | 2.50 |
| 14117 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2.30 | 1.65 |
| 14127 | ფიურტი-კარლ ცაისი | 1.20 | 2.60 |
| 14128 | მიუნხენი 1860-კობლენცი | 1.30 | 2.50 |
| 14129 | პადერბორნი-აუგსბურგი | 1.80 | 2.00 |
| 14130 | ოფენბახი-კაიზერსლაუტერნი | 1.75 | 2.10 |
| 14131 | ვეენი-კიოლნი | 2.00 | 1.80 |
| 14132 | ჰოფენჰაიმი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 14133 | ოსნაბრიუკი-ზტ.პაული | 1.80 | 2.00 |
| 14134 | მიონხენგლადბახი-ალემანია | 1.65 | 2.30 |
| 14135 | ფრაიბურგი-აუე | 1.30 | 2.50 |
| 14308 | აიაჩო-ლე ავრი | 1.85 | 1.95 |
| 14309 | ანჟე-ამიენი | 1.80 | 2.00 |
| 14310 | ბულონი-რეიმსი | 1.80 | 2.00 |
| 14311 | დიჟონი-ბრესტი | 1.70 | 2.20 |
| 14312 | გრენობლი-ნანტი | 1.90 | 1.90 |
| 14313 | გენიონი-ლიბურნი | 1.70 | 2.20 |
| 14314 | გენგამი-შატორუ | 1.70 | 2.20 |
| 14316 | ნიორი-ბასტია | 1.85 | 1.95 |
| 14317 | ტრუა-კლერმონი | 1.30 | 2.50 |
| 14319 | ბრიუგე-მუსკრონი | 1.30 | 2.50 |
| 14320 | ბეერსხოტი-გენტი | 2.00 | 1.80 |
| 14321 | ლოკერენი-ბრიუსელი | 1.45 | 2.40 |
| 14322 | მეხელენი-დენდერი | 1.70 | 2.20 |
| 14323 | მონსი-გენკი | 2.30 | 1.65 |
| 14324 | რუზელარე-ვარეგემი | 1.80 | 2.00 |
| 14325 | სტ.ტრუიდენი-სტანდარდი | 2.50 | 1.30 |
| 14326 | ანდერლეხტი-შარლერუა | 1.08 | 2.90 |
| 14348 | ჰაარლემი-როზენდალი | 1.80 | 2.00 |
| 14349 | მაასტრიხტი-ვოლენდამი | 1.80 | 2.00 |
| 14350 | ეინდჰოვენი-დორდრეხტი | 2.00 | 1.80 |
| 14351 | აპელდორნი-ჰელმონდი | 1.85 | 1.95 |
| 14352 | ოსი-კამბური | 1.80 | 2.00 |
| 14353 | ომნივორლდი-ვეენდამი | 2.00 | 1.80 |
| 14354 | ტელსტარი-დენ ჰააგი | 1.80 | 2.00 |
| 14355 | ვალვაიკი-დენ ბოსხი | 1.65 | 2.30 |
| 14356 | იგლზი-ზვოლე | 1.80 | 2.00 |
| 14883 | ვესტერლო-სერკლი | 1.80 | 2.00 |
| 14890 | ემენი-სიტარდი | 1.70 | 2.20 |

## ხელბურთი

### საქართველოს მე-18 ჩემპიონატი. კაცები
პირველი წრე. 25-27 სექტემბერი. თბილისი. ასა-ს დარბაზი



# ნაკლულ ჩემპიონს არაფერი აკლდა

**სტუ-თელავი 30:20 თბილისი**

სტუ-თელავი: თევზაძე, სამყურაშვილი, გიორგი ტორონჯაძე, გიორგი კობახიძე (გაიტანა 9 გოლი), ტალახაძე (6), მამია კობახიძე (5), ბერძენიშვილი (5), ნიკოლაიშვილი (2), ამირან ყიფიანი (2), გოგალაძე (1), ომარ ყიფიანი, ზაალიშვილი, სხიერელი, ქობელაშვილი

თბილისი: ანდრიაძე, გონჩაროვი, წიწიშვაძე (5), ქარდავა (4), გელაშვილი (3), ქირია (3), მაისურაძე (2), სამარღანიშვილი (2), ყაველაშვილი (1), ფორაქიშვილი, ომარ ქუთათელაძე, ირაკლი ტორონჯაძე, ცლენტი, ღალანიძე

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

დელეგატი: თამაზ ჩხარტიშვილი

**სსსსუ-მამული 38:29 ქუთაისი**

სსსსუ-მამული: ხონელიძე, ვახანია, გველესიანი (13), კერესელიძე (9), კვერნაძე (7), მიხეილ ქუთათელაძე (4), შალვა დორეული (2), შონია (1), ჩაჩანიძე (1), თეთრუაშვილი (1), ბიდოდაშვილი

ქუთაისი: შიშინაშვილი, ნიქაბაძე, დოლაკიძე (11), ჯანაშია (6), ჯავახაძე (4), ადამია (3), თათვიძე (2), სიხარულიძე (2), ჩხეიძე (1), თუთბერიძე, კიზირია, ტულუში, მალლაკელიძე, დოლიძე

მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ჭკუასელი

დელეგატი: ვახტანგ ბერიაშვილი

**პირველი** წრის დასკვნითი ტურის მატჩებში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ჩემპიონობის პრეტენდენტები — „სტუ-თელავი“ და „თბილისი“, აგრეთვე აუტსაიდერები — „მამული“ და „ქუთაისი“, რომელთა ამოცანაც რვათვიანი სეზონის ბოლომდე ჩამთავრება და მესამე ადგილისთვის ურთიერთჭიდილი იქნება.

ფავორიტები წინა ჩემპიონატთან შედარებით, საგრძნობლად შეცვლილი შემადგენლობებით გამოდიან. ჩემპიონ ტექნიკოსებს გამოაკლდათ 204-სანტიმეტრიანი გიგანტი მეგოლე რატი მსხვილიძე, რომელიც ისლანდიის „სტიარნანში“ გადავიდა და ხაზის მოთამაშე ირაკლი სიგუა, რომელმაც ხელბურთს თავი დაანება. არ არიან აგრეთვე ძმები ირაკლი და გიორგი ჩიქოვანები და დავით საჯაია, რომელნიც გუნდის საპირველწრეო განაცხადში ვერ მოხვდნენ.

უფრო დიდი დანაკლისი განიცადა ვიცე-ჩემპიონმა „თბილისმა“, ოთხი წამყვანი ხელბურთელი — ლევან ოსიყმაშვილი, გაგა სეთურიძე, გიორგი ნატროშვილი და შოთა გრიშიკაშვილი — კარიერას თურქეთის ქალაქ ·რთვინის კლუბში აგრძელებს. მათ ნაცვლად, გუნდმა კი მიიღო შევსება „იმედიდან“, მაგრამ „თბილისი“ საგაზაფხულო დონიდან ჯერჯერობით საკმაოდ შორსაა. ისიცაა აღსანიშნავი, რომ სამ მოთამაშეს მცირე ტრავმები აწუხებს.

სოლისტ მსხვილიძის არყოფნით, ცხადია, შეიცვალა „სტუ-თელავის“ ტაქტიკური მონახაზი და ფორვარდებმა უფრო ფართოდ, მოედნს მთელი სივრცის გამოყენებით შეუტიეს მეტოქის კარს. ისედაც მოძრავი დაცვა უფრო მობილური გახდა და სიმჭიდეც მოემატა.

ყოველივე ამან განაპირობა გუშინდელ თვალსასეირო მატჩში ჩემპიონთა აშკარა უპირატესობით გამარჯვება და რასაკვირველია, მეკარე შოთა თევზაძის დიდებულმა რეაქციამაც.

თევზაძე ერთი წელი თურქეთის „პოლის აკადემიაში“ გამოდიოდა. მისი გუნდი ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა, შოთა კი თურქეთის პრემიერლიგის საუკეთესო გოლკიპერად დაასახელეს. ის კი არა, იქაური გაზეთები იმასაც წერდნენ, ასეთი კლასის მეკარე აქამდე საერთოდ არ გვყოლიაო. თევზაძეს სამი თურქული წამყვანი კლუბი იწვევდა, მათ შორის ჩემპიონი, სტამბოლის „ბეშიქთაში“, მაგრამ მან თბილისში დაბრუნება არჩია უკეთესი ვარიანტის იმედით.

თავად თამაშზე ბევრიც არაა სათქმელი. საწყის ორ წუთში ორი შედეგიანი შეტევით „თბილისი“ დაწინაურდა, მაგრამ მერე ცხრა წუთი ვერაფერი მოუხერხა კონკურენტის პრაქტიკულად უხინჯო დაცვას, თავად კი ზედიზედ ექვსი გოლი გაუშვა — 2:6. ტაიმი „სტუ-თელავმა“ ექვსბურთიანი სხვაობით მოიგო — 14:8 და მატჩის ბედიც გადაწყდა.

გამორჩეულად უნდა ითქვას გიორგი კობახიძის აქტიურობაზე, რომელიც ცხრა ზუსტი ტყორცნით ორივე გუნდის მოთამაშეთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო.

მეორე წრის მატჩები ათი დღის შემდეგ დაიწყება, მერე კი ეროვნული ნაკრების კანდიდატებს ორკვირიანი შეკრება ელით, 25-27 ოქტომბერს თბილისში „ჩელენჯ ტროფის“ ოთხგუნდა ტურნირის წინ.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-თელავი | 3 | 0 | 0 | 129:62 | 6 |
| თბილისი | 2 | 0 | 1 | 109:64 | 4 |
| სსსსუ-მამული | 1 | 0 | 2 | 79:122 | 2 |
| ქუთაისი | 0 | 0 | 3 | 64:133 | 0 |

## ველორბოლა

# ველოსპორტს აღმზრდელი აღარ ჰყავს

## გარდაიცვალა კარლო შენგელია



გარდაიცვალა სამშობლოში დაბრუნების აუხდენელი ოცნებით გულმკვდარი კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გამოჩენილი მოღვაწე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის, ყაზახეთისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ყოფილი საბჭოთა კავშირის და საქართველოს ველოსპორტის ნაკრებების მთავარი მწვრთნელი, არაერთი გამოჩენილი ველომრბოლის აღმზრდელი კარლო ლეონტის ძე შენგელია.

კარლო შენგელია დაიბადა 1937 წელს ქალაქ გალში. საშუალო სკოლის დამთავრების და უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მან მჭიდროდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება დიდ სპორტს. სპორტულ საზოგადოებაში მას კარგად იცნობდნენ, როგორც თავისი საქმის, ველოსპორტის უზადოდ მცოდნე მაღალი რანგის პროფესიონალს, ახალგაზრდა თაობების აღმზრდელს. მისი მაღალი პროფესიონალური დონე და მიღწევები სათანადოდ შეაფასეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის მესვეურებმა. 1969 წლიდან — 1981 წლამდე ის გახლდათ ყაზახეთის რესპუბლიკის ველოსპორტის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, სადაც მიაღწია განსაკუთრებულ შედეგებს, რამაც განაპირობა 1981 წელს მისი გადაყვანა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ველოსპორტის ნაკრებს არაერთი უმაღლესი სინჯის მედლები მოუპოვებია ოლიმპიადაზე მსოფლიოს, ევროპისა და სხვა უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში. 1986 წელს ის სათავეში ჩაუდგა საქართველოს ნაკრებს. მის სახელთანა დაკავშირებული ბევრი სახელოვანი სპორტსმენის გამოსვლა მსოფლიოს სპორტულ არენაზე. მის მიერ აღზრდილ სახელებს შორისაა ქართული ველოსპორტის სიამაყე ომარ ფხაკაძე.

კარლო შენგელია გამოირჩეოდა საქმისადმი დიდი ერთგულებით, მაღალი პასუხიმგებლობით და პრინციპულობით, თავისი პროფესიონალიზმით და მომთხოვნელობით აღსაზრდელებთან და კოლეგებთან. უხვად გადასცემდა მათ თავის გამოცდილებას. ქვეყანასა და საზოგადოებას გამოაკლდა ღირსეული პიროვნება, სპორტულმა საზოგადოებამ დაკარგა თავისი საქმის უმაღლესი რანგის პროფესიონალი, ახალგაზრდა სპორტსმენთა აღმზრდელი.

მისი სახელი სამუდამოდ იცოცხლებს მისი ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობრების, კოლეგების, აღსაზრდელებისა და ფართო სპორტული საზოგადოების მეხსიერებაში.

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო*

## მთამსვლელობა

# გულს ნუ გაისიებთ, მისის ნივეს

## ეს ქალი მწვერვალებს არ იპარავს



კაცების კვალდაკვალ ქალებიც ცდილობენ დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიან მწვერვალზე ასვლას. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ იტალიელი მთამსვლელი ნივეს მეროი, რომელიც თავის აქტივში უკვე ათ ასეთ ბუმბერაზ მწვერვალს ითვლის.

ნივეს მეროი ამ ათიოდე დღის წინათ 46 წლის გახდა, მაგრამ ალპინიზმის ზოგმა მცოდნემ დაბადების დღის მილოცვის ნაცვლად იგი მატყუარობაში დაადანაშაულა და თქვა, იმ ათი მწვერვალიდან ერთ-ერთზე, კერძოდ შიშა პანგმაზე არ ასულა 1999 წელსო.

მანამ ამ ბრალდებაზე ვიტყოდეთ რამეს, უფრო ახლოს გავიცნოთ ეს ქალბატონი.

ნივეს მეროი 1989 წელს მასავით მთამსვლელ რომანო ბენეტიზე გათხოვდა. მას მერე ცოლ-ქმარი მწვერვალებზე ერთ თოკში ჩაბმულნი ადიან. ხშირად იმ თოკში თავიანთ მეგობარ მთამსვლელ ლუკა ვუერიჩსაც იბამენ, ზოგჯერ კი ასევე მეგობრებისგან დაკომპლექტებული პატარა ალპინისტური გუნდის წევრებიც ხდებიან. რაკი მუდმივი სპონსორები არა ჰყავთ, მათი ექსპედიციები ხშირად მცირებიუჯეტიანი გამოდის. ამავე მიზეზის გამო უარს ამბობენ საბაზო ბანაკების ზემოთ მომუშავე მებარგულებზე. ამიტომაც მათი ექსპედიციები მეტად მსუბუქი გამოდის. ისინი წელს არც ჟანგბადის ბალონების თრევით იწუხებენ.

ნივეს მეროი, როგორც მეკლდეურობისა და ყინულზე ცოცვის პროფესიონალი, ჩრდილოეთ იტალიაში მთამსვლელთა გიდად მუშაობს. მეროიმ 1998 წელს დალაშქრა თავისი პირველი რვაათასიანი, უმრისხანესი ბუმბერაზი ნანგა პარბატი, რომელსაც სიკვდილის მთას ეძახიან. ერთი წლის მერე ამას მოჰყვა შიშა პანგმა, 2003 წელს კი სამ გოლიათს — ჩო ოიუს, ბროუდ პიკსა და გაშემბრუმ მეორეს დაადგა კისერზე ფეხი. 2004 წლეს ლჰოცზედან გადმოიხედა, 2005 წელს დჰაულაგირი დალაშქრა, 2006 წელს დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალ K-2-ზე, იგივე ჩოგორიზე, ავიდა. ამ გაზაფხულზე დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (ჯომალუნგმა) ამოყო თავი. ამოყო და ახლა ზოგი იხსენებს რვა წლის წინანდელ მის ლაშქრობას შედარებით ტანმორჩილ შიშა პანგმაზე და ირწმუნება, იქ არ ასულაო.

ეს ცოლ-ქმარი სადაც კი ასულა, ისინი უკან მუდამ მათი დალაშქვრის ამომწურავი ფაქტებით ბრუნდებოდნენ იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ ერთხელ, 2006 წელს, დაეჭვდნენ, ცოლ-ქმარი დჰაულაგირზე არ ასულაო. ამიტომაც დაადეს თავი და ეჭვების გასაფანტად 2006 წელს, მეორედაც დალაშქრეს ეს ბუმბერაზი, თანაც სხვების გულის გასახეთქად, მწვერვალის მთელი თხემიც გაიარეს. ახლა კი ეჭვები და მითქმა-მოთქმა რვა წლის წინანდელ ასვლაზე დაიწყო.

კატმანდუში მცხოვრები ქალბატონი ელიზაბეტ ჰოული, ვინც მთელ მსოფლიოში აღიარებულ ექსპერტად ითვლება ალპინიზმში და ჰიმალაის მთებში ასვლათა რეგისტრაციას საგულდაგულოდ აწარმოებს, საეჭვოს ვერაფერს ხედავს.

„მის ელიზაბეტ ჰოულის ამ საკითხზე ორჯერ ვესაუბრე — ამბობს ნივეს მეროი — ორი წლის წინათ მას ჩვენი ასვლის აღწერილობა წარვუდგინეთ და მან ასვლა ჩაგვითვალა. წლეულს ევერესტიდან რომ ჩამოვედით, კვლავ შევხვდი და ასვლა ისევ დაგვიდასტურა, ბოლოს კი მირჩია, სხვებს ყურს ნუ უგდებ, თორემ ეს გულს გაგისიებსო. მართლაც, რატომ უნდა ვიხეთქო გული, ან მწვერვალის „მოპარვა“ რაში მჭირდება.“

**ავთანდილ ტყვიშილი**

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

საქართველოს ნაკრების თამაშებს წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# მალხაზ ურჯუკაშვილი: საქართველო ჩაჭრაზე თამაშობს

## ნამიბიამ ლელოებს უსიტყვოდ უმასპინძლა

**საქართველოს ნაკრებმა ნამიბია რომ მიანგრია და მსოფლიოს თასზე პირველი, ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, სარაგბო ვებგვერდმა PLANETRAGBY-იმ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ჩვენების უნივერსალი უკანახაზელი მალხაზ ურჯუკაშვილი დაასახელა. „სხვებისგან განსხვავებით, მალხაზ ურჯუკაშვილს წვიმამ ვერაფერი დააკლო. მას შეცდომა არ დაუშვია, მუდმივად მწვავედ უტევდა ნამიბიელებს და ბრწყინვალედ ითამაშა" — ასე დაახასიათა ურჯუკაშვილის თამაში PLANETRUGBY-მ. მალხაზ ურჯუკაშვილს გუშინ დავუკავშირდით**



**— ანგარიშით თუ ვიმსჯელებთ, იოლად გაიმარჯვეთ. შენც ასე ფიქრობ?**

— შეიძლება გარედან ჩანდეს, რომ იოლად მოვიგეთ. მაგრამ ასე ნაღდად არ იყო. თანაც წვიმდა და სველი ბურთი ხშირად გვივარდებოდა ხელიდან.

**— სამიდან ორი ლელო უკანახაზელებმა გაიტანეთ. დარში უფრო ხელდახელ შეუტევდით?**

— რა თქმა უნდა, თანაც ჩვენმა მორკინალებმა მაგრად იმუშავეს და უკანახაზელებს უპირატესობა მოგვიპოვეს. ისე, ნამიბიელებმაც სცადეს კომბინაციური რაგბის თამაში. რამდენჯერმე შეტევა გაგვიშალეს, მაგრამ დაცვაშიც აგრესიულად ვიდექით და არაფერი გამოუვიდათ.

**— თითქმის ყველა ჯარიმა კარში დაარტყით. პრემიალური ქულისთვის არ თამაშობდით?**

— არა, ამ მომენტში ეს ჩვენთვის მეორეხარისხოვანი იყო, რადგან აუცილებლად უნდა მოგვეგო და მსოფლიოს თასზე პირველი გამარჯვება მოგვეპოვებინა. როდესაც 13:0 ვიგებდით, ერთი ჯარიმის გატანა ჰაერივით გვჭირდებოდა, მერე მეტოქეს ორი გარდასახული ლელოც არ უშველიდა. 16:0-ზე კი, ასე ვთქვათ, მოგება გარანტირებული გვქონდა და ნამიბიას „ჩავუსაფრდით". ვიცოდით, მეტოქე გაიხსნებოდა და ხელდახელ შემოგვიტევდა. ასეთ დროს მოწინააღმდეგეს უნდა აცალო თამაში და შეცდომაზე დაიჭირო. ჩვენც ორჯერ გამოვიჭირეთ შეცდომაზე და ორჯერვე ლელო გავიტანეთ. ცოტა მეტი დრო რომ დარჩენილიყო, პრემიალურ ქულასაც ავიღებდით.

**— ამ მსოფლიოს თასზე უკვე ოთხი ლელო გაიტანეთ. აქედან სამი უკანახაზელების მონაგარია, თანაც სამჯერვე მეტოქეს ჩაუჭერით პასი და კონტრშეტევაზე დაიჭირეთ. ამაზე საგანგებოდ ვარჯიშობთ?**

— ვვარჯიშობთ და თანაც ეს ჩვენი ტაქტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. ჯგუფში ისეთი მეტოქეები გვერგო, რომ მათთან უკანმოუხედავად გაშლილი თამაშით ვერაფერს გავხდებოდით. ამიტომაც ვცდილობთ, ძლიერ მეტოქეს დაცვაში აგრესიულად ვეთამაშოთ, ბურთზე კონტროლი შეძლებისდაგვარად მოუსპოთ და ჩვენს შანს ველოდოთ. ჯერჯერობით ეს ტაქტიკა ამართლებს და ჩვენც, უკანახაზელებმა თითქმის ყველა შანსი გამოვიყენეთ.

**— შენ კი „პლანეტ-რაგბიმ" მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაგასახელა...**

— ეს ამბავი ახლა გავიგე. რატი ურუშაძემ ნახა ინტერნეტში და დღეს მითხრა. ცხადია, ძალიან გამიხარდა.

**— ნამატჩევს უცხოელ ჟურნალისტებს ესაუბრეთ?**

— მე არა, მაგრამ ბიჭებმა მცირე კომენტარები არიგეს, მერე კი ბანკეტზე წავედით.

**— ესე იგი, ტრადიციული „მესამე ტაიმი" ამ მსოფლიოს თასზე მაინც იმართება...**

— ნამიბიისთვის მსოფლიოს თასზე ეს იყო ბოლო მატჩი და მათ პატივსაცემად გამართეს ბანკეტი. ცხადია, ჩვენც დაგვპატიჟეს.

**— ნამიბიელები რას ამბობდნენ?**

— კრინტს არ ძრავდნენ, ცხვირპირი ჩამოსტიროდათ. ჩვენ დიდხანს არ გავჩერებულვართ. საშინლად დაღლილები ვიყავით, თანაც სამ დღეში საფრანგეთთან გვიწევს თამაში, ზედმეტად არ გადავიღალეთ თავი.

**— საფრანგეთთან მატჩისთვის შეძლებთ ძალების აღდგენას?**

— უნდა შევძლოთ, თანაც ჩვენ ხომ დიდი რეზერვი გვაქვს, აქ ოცდაათი კაცით ვართ და ღირსეულად ვენაცვლებით ერთმანეთს. ამასთან ჩვენი ფიზმომზადების მწვრთნელი ნიკოლა ფულკიე ფოკუსებს ატარებს. თავისი საქმის ასეთი პროფესიონალი ჯერ არ შემხვედრია. გპირდებით, რომ საფრანგეთს თავს შევაკლავთ და სისხლს გავუშრობთ.

**ბაჩო სვანიძე**




# გრანდებო, ჩვენი გეშინოდეთ!

**გუშინ საქართველოს ნაკრები ლანსიდან აიბარგა და საღამოს მარსელში ჩავიდა, სადაც ამ კვირის მსოფლიოს თასის მასპინძელს და ერთ-ერთ ფავორიტ საფრანგეთს ეთამაშება. ნამიბიასთან ნათამაშებ და მეორე დღეს მგზავრობით დაღლილ მორაგბეებს მარსელში შევეხმიანეთ და მცირე კომენტარებით შემოვიფარგლეთ**

**მალხაზ ჭეიშვილი**, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ჩვენთვის მოგება უმნიშვნელოვანესი იყო. ეს არა მარტო ქართული რაგბის, არამედ მთელ საქართველოს გამარჯვებაა. საამისოდ მთელი ოთხი წელი თავდაუზოგავად ვემზადებოდით. დიდი მადლობა ბიჭებს, რომ თამაშში მთელი სული და გული ჩადეს. ახლა უკვე საფრანგეთზე ვფიქრობთ, ამ მსოფლიოს თასზე ეს ალბათ ჩვენი ბოლო მატჩი იქნება, თანაც „დიდი გუნდების" კომპლექსი, ასე თუ ისე, უკვე დაძლეული გვაქვს და ტურნირს ღირსეულად უნდა დავემშვიდობოთ."

**გია ლაბაძე**: „თუ გახსოვთ, ორი თვის წინ გითხარით, რომ არგენტინასთან, ირლანდიასა და ნამიბიასთან მატჩს ისე არ ველოდები, როგორც საფრანგეთთან შეხვედრას-მეთქი. ზუსტად ფრანგებს უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენი ძალა. ნამიბიასთან გამარჯვება კი, როგორც ყველა ჩვენი ჩავლილი მატჩი, უკვე დავიწყებულია და მზადებას ისევ ნულიდან ვიწყებთ."

**ირაკლი მაჩხანელი**: „ნამიბიასთან რომ ვერ მოგვეგო, თავს არ ვაპატიებდით. ყველამ ვიცოდით, მთელი საქართველო ამ გამარჯვების მოლოდინში იყო. ჩვენი ხალხის დალალატების უფლება არ გვქონდა, გულით და ჯიგრით ვითამაშეთ, როდესაც ლელო გავიტანე, ჩემი ჟესტით სწორედ ჩვენი ქვეყნის სიყვარული აღვნიშნე."

**ირაკლი აბუსერიძე**, საქართველოს ნაკრების კაპიტანი: „შეიძლება, იფიქროთ, რომ იოლად მოვიგეთ, მაგრამ მოედანზე ნამდვილი ომი იყო, რაც ჩვენს თავზე გამოვცადეთ. უზომოდ ბედნიერები ვართ, ისტორიული გამარჯვება რომ მოვიპოვეთ. ახლა საფრანგეთი გველოდება და ამ მატჩს მთელ მსოფლიოში აჩვენებენ. კიდევ ერთხელ უნდა დავამტკიცოთ, რომ რაგბის თამაში ვიცით და დროა, გრანდებს ჩვენი ეშინოდეთ."

**ბაჩო სვანიძე**

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

## geo_geo_fan@hotmail.com

**26 სექტემბერს საქართველოს ნაკრებმა ნამიბია 30:0 დაამარცხა. კვლავ ველით თქვენს გამოხმაურებებს ამ ისტორიულ გამარჯვებაზე**



## თქვენ საქართველო ხართ!

**GIO 8!**: ყოჩაღ ბიჭებო, ყოჩაღ! მთელი საქართველო გაახარეთ ამ გამარჯვებით. აქამდე ვინც არ იცოდა, რა იყო რაგბი, გუშინდელის მერე ყველამ იცის, რომ არსებობს საქართველოს ნაკრები, რომელიც თავს არ ზოგავს მოედანზე, არ უფრთხილდება არც ფეხებს, არც ხერხემალს, არც ყვრიმალს და საკუთარი თავიც კი გადადებული აქვს იმისთვის, რომ პირველ რიგში ქართველი ერი გაახაროს, ჩვენ გაგვახაროს! არსებობს ნაკრები, რომელსაც საქართველო ძალიან უყვარს და ყოველგვარი ანგარების გარეშე იბრძვის სამშობლოსთვის! ის 30 ვაჟკაცი, ვინც ნაკრებშია, ყველა ეროვნული გმირია. თქვენ ყველანი მეომრები ხართ, ყველანი ლომები ხართ, ყველანი პატრიოტები ხართ და ყველანი ხელის გულზე სატარებლები ხართ! თქვენს წერთ საქართველოს ისტორიას, საქართველოში, რომელიც მრავალჯერ დამარცხებულა და ძალიან აკლია გამარჯვებები, მითუმეტეს სპორტში და ესეთ ვაჟკაცურ სპორტში, სადაც მთლიანად ჩანს ქართული ხასიათი. ჩვენ გვყავს მსოფლიოს, ევროპის და ოლიმპიადის ჩემპიონები, მაგრამ თქვენ ხართ პირველები, ვინც დიდ წარმატებებს მიაგწიეთ გუნდურ და ბურთიან სახეობებში! თქვენ არ წუწუნებთ საჭმელზე, თქვენ არ წუწუნებთ ჩასაცმელზე, თქვენ არაფერზე არ წუწუნებთ, თქვენ თამაშობთ და იბრძვით საქართველოსთვის, იმიტომ რომ უზომოდ გიყვართ სამშობლო! თქვენ ამაყები ხართ, იმიტომ რომ მთელი საქართველო ამაყია. თქვენ ამაყები ხართ იმიტომ, რომ პირველები ხართ, მორაგბეები ყველაფერში პირველები ხართ, მორაგბეები ყველაზე მაგრები ხართ, თქვენ საქართველო ხართ! ყველაფერ კარგს გისურვებთ, იმიტომ რომ ღირსები ხართ და თქვენ ეს დაიმსახურეთ! საქართველო დღეს ამაყია!!!!!

**ARCHIL-TOP**: ალბათ არ ვიქნები გამონაკლისი თუ ვაღიარებ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სპორტული სამყაროს სავიზიტო ბარათს, სწორედ რომ მოჭიდავეები და ბრწყინვალე „ბორჯღალოსნები" წარმოადგენენ!!! და მინდა ვისურვო რომ საფეხბურთო, საკალათბურთო თუ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც მათ ღირსეულად აუბამენ მხარს.

**NUKRIANI**: ამ კაცებმა თქვეს, რომ ნამიბიას მოუგებდნენ და შეასრულეს კიდეც. სიტყვის, საქმის და ერის კაცები არიან. მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, როგორ უყვარს ისინი ქართველ ხალხს. გაუხარელი საქართველოს გახარება რომ შეძელით, ამისთვის გმადლობთ, ბიჭებო!

რომელმა ნაკრებმა მოახერხა, ჯერ საერთოდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა და მერე იქ გამარჯვების მიღწევა, თუნდაც სუსტ გუნდთან? ქართველმა ფეხბურთელებმა კი იბღლარძუნეს და... ერის სიყვარულს ასეთი მიდგომით ვერ ეღირსებიან.

**„სარბიელის" ელ-ფოსტაზე ცოტა, მაგრამ ქართველ მორაგბეთა სიყვარულით და პატივისცემით გაჯერებული წერილი მოვიდა. ხალხს ყველგან უყვარს თავისი გმირები, ოღონდ, ნამდვილი და არა ყალბი გმირები. ჩვენი რაგბის ქომაგების სიყვარული და პატივისცემაც ისეთივე ნამდვილი და გამომხატველია, როგორც თვით ქართველი მორაგბეები არიან.**

**მოიწერეთ კიდევ**

A ჯგუფი. დღეს. 23.00. პარიზი

**ინგლისი — ტონგა**

# ამერიკამ დააგვიანა

A ჯგუფი. 26 სექტემბერი. 22.00. სენტ ეტიენი

**სამოა 25:21 აშშ**

სამოა: კრიჩტონი, ფაატაუ, მაპუსუა, სეველიი, ტუილაგი; ფუიმაონო-საპოლუ, პოლუ; ვაელუაგა, პურდიე, სიტიტი (კაპ), ტომპსონი, ლაფაიალიი, ჯონსტონი, შეალგერი, ლეალამანუა

სათადარიგოები: ვაისოლა სეფო, ლილიმალეფაგა, ტიკორი, ულია, სოოიალო, ლემი, ლუი

3 ლ: ფაატაუ, ტუილაგი, ტომპსონი; 2 გ: კრიჩტონი; 2 ს: კრიჩტონი

აშშ: ველში, სიკა, ელოფი, იზიკია, ნგვენა; პერკუსი (კაპ), ერსიკინი; მოუნგა, ქლევერი, სტეინფილდი, მიქსტედი, პარკერი, ოსენტოვსკი, ლენსი, მაკდონალდი

სათადარიგოები: ბურდეტი, მოეკაიოლა, ეულორი, ბლონფილდი, პეტრი, მალიფა, ტუიპულოტუ

2 ლ: ნვენა, სტეინფილი; 1 გ: პერკუსი; 3 ს: პერკუსი

„ჩვენი აშკარა უპირატესობა მხოლოდ 10-15 წუთი გაგრძელდა. კიდევ კარგი, მომენტები მაქსიმალურად გამოვიყენეთ, თორემ, ვფიქრობ, მატჩი სულ სხვა შედეგით დამთავრდებოდა" — თქვა ამერიკელებთან ჯახის შემდეგ სამოელთა კაპიტანმა სემო სიტიტიმ.

სამოამ ჯგუფში პირველი შეხვედრა სამხრეთ აფრიკასთან ბრძოლაში დათმო და რაგბის გურმანებში საკმაო მოწონებაც დაიმსახურა, მაგრამ შემდეგ თამაშებში ვერ გაამართლა. აკი აშშ-სთან მატჩშიც გამოჩნდა, რომ ეს ორი გუნდი შესაძლებლობებით ერთმანეთს არსად წაუვლენ.

მთელი პირველ ტაიმში პოლინეზიელები დომინირებდნენ. კუნძულელებმა სწრაფი ფეხებისა და ხელდახელ თამაშის წყალობით სამი ლელოც მოინადირეს. ამერიკულმა „არწივმა" მხოლოდ მეორე ნახევარში ჭყიტა თვალი და ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლა.

მე-4 წუთზე ხაზად გამწკრივებულმა პოლინეზიელებმა მარჯვენა ფრთაზე ბურთი გარემარბ ლომი ფაატაუს ჩააბარეს, რომელმაც მოწინააღმდეგის ლელოში შეარბენინა. ლელოს შემდეგ სამოელები სწრაფადვე მიეძალნენ „არწივებს" და გამთამაშებელმა ელიოტა ფუიმაონო-საპოლომ სალელოვე ხაზთან მარცხნივ უპასა ალესანა ტუილაგის, რომელმაც მეორედ დასაჯა მეტოქე ლოკი კრიჩტონმა გარდასახვა ზუსტად გამოიყენა. მთლიანობაში მან არცთუ ზუსტად არტყა საჯარიმო-გარდასახვები, მაგრამ მოგებისთვის ორ-ორიც საკმარისი გამოდგა.

38-ე წუთისთვის სამოელებმა მრავალფაზიანი შეტევა გამართეს, რასაც აშშ-ს ლელოსთან შერკინება მოჰყვა. ყველაზე სახერხოდ ბურთთან კენი ტომპსონი მივიდა და მესამედაც დაალელოვა „არწივები".

მეორე ნახევარში ამერიკელები გათამამდნენ. 53-ე წუთზე მათი 11 ნომერი ტაკუზუა ნგვენა მარჯვენა ფლანგზე ტუილაგისა და მაპუსუას ტანდემს გაექცა და ეფექტური ლელო გაიტანა. ამას დაუმატეთ კაპიტან მაიკ ჰერკუსის პირველ ტაიმში ერთი და მეორეში ორი ზუსტად გამოყენებული საჯარიმო, აგრეთვე ერთიც გარდასახვა 54-ე წუთზე და მიხვდებით, მატჩში სიტუაცია რაოდენ დაიძაბა.



სამოელთა ზებერი ვარსკვლავი ბრაიან ლიმა ამერიკელთა ძლევას აღნიშნავს

AFP სენტ ეტიენი

შეხვედრის ბოლო წუთზე ლუის სტეინფილდმა გაჭრა ხაზი და იანკებს მეორე ლელოც მოუტანა. თამაშის ძირითადი დრო ამოწურული იყო და „არწივებს" გარდასახვალა ჰქონდათ დასარტყმელი, რაც გატანის შემთხვევაშიც არ იყო გამარჯვებისთვის საკმარისი. ჰერკუსმა ბურთი სანტიმეტრებით ააცილა კარებს და მსაჯის სასტვენიც გაისმა.

მატჩის შემდეგ იანკების კაპიტანმა დანანებით აღნიშნა, ჩვენ თამაშს ძალიან გვიან ვიწყებთო. აშშ-ს ნაკრებს ჯგუფში ერთი შეხვედრაღა დარჩა ლიდერ სამხრეთ აფრიკასთან და ძნელად სავარაუდოა, რომ მასთან მაინც გახდეს რამეს.

**ზურაბ მიგრიაული**

## მაორებს თეთრი გიგანტი დაუბრუნდათ

**ახალზელანდიელებმა** რუმინეთთან ჯახის წინ გადაახალისეს ძირითადი შემადგენლობა. ტრავმომოშუშებული გიგანტი მეორეხაზელი კიტ რობინსონი გრეგ სომერვილისა და ნემია ტიალატას დარად მსოფლიოს თასზე პირველად გაამაგრებს „მაორთა" შერკინებას.

გრემ ჰენრის არ დაუსვენებია გუნდის ლიდერი დენ კარტერი და ძირითადში ისევ ის გაირჯება. დამწყებ გუნდშია ტომით ფიჯელი და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მელელოვე ჯო როკოკოკოც.

**ახალი ზელანდია:** ევანსი, როკოკოკო, ტოეავა, მაუგერი, სივივატუ; კარტერი, ელისი; ლაუაკი, მასო, კოლინზი, რობინსონი, სორნი, სომერვილი, მეალამუ, ტიალატა

სათადარიგოები: ჰორი, ვუდკოკი, ჯეკი, მაკლოუ ლეონარდი, მაკალისტერი, სმიტი

## ტონგა: უილკოსი არ გვეშინია

**შეიძლება** სასაცილოა, მაგრამ ტონგელი ფინომაკა ინგლისელ სუპერვარსკვლავ ჯონი უილკინსონს განსაკუთრებული ყურადღების ღირსად არ თვლის. ანუ პოლონეზიელები ამბობენ, რომ ჩვენ უილკინსონს პერსონალურ მეურვეს არ მივუჩენთ და არც მასზე ნადირობას გავაჩაღებთო. „ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ და არა ვინმეს პერსონალურად ვდიოთ. ბურთს თუ დიდხანს გავაკონტროლებთ, ჯონიც ვეღარ მოახერხებს ფეხის მოქნევს" — თქვა მაკაძ. არადა, ნაკრებში დაბრუნებულმა ინგლისელთა ჯილამ სამოასთან ჯახში 24 ქულა მოაგროვა და სარაგბო სამყაროს დაანახა, რომ ძველებურად უჭირავს თვალი და ფეხიც.

## ირლანდიას კაცი წაექცა

**ირლანდიელმა** მოკრინალმა საიმონ ბესტმა ბორდოში სეირნობის დროს მოულოდნელად ცუდად იგრძნო თავი და გათიშული დავარდა მიწაზე. იგი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გამოკვლევა ჩაუტარდა, მაგრამ დიაგნოზი ჯერ არ არის ცნობილი. „სამყურათა" ბანაკში ამ ფაქტმა შეშფოთება გამოიწვია და ამის გამო მათი გუშინდელი დილის ვარჯიშიც აღარ ჩატარდა. არადა, 30 სექტემბერს ირლანდიას არგენტინასთან გადამწყვეტი ჯახი აქვს და ამგვარი შემაშფოთებელი ამბები კუნძულელებს ნამდვილად არ ახარებთ.

**ზურაბ მიგრიაული**

# ლედის ოუფენი

**ბათუმი. 24-30 სექტემბერი საპრიზო 25 000 $**

### მეორე წრე

ეკატერინე გორგოძე (საქართველო) — არინა როდიონოვა (4, რუსეთი) 7:6 (6) 3:6 6:4
ოქსანა კალაშნიკოვა (საქართველო) — ქსენია პალკინა (ყირგიზეთი) 6:1 6:3
ვოჟისლავა ლუკიჩი (1, სერბეთი) — ალექსანდრა მალიარჩიკოვა (უკრაინა) 6:1 6:1
იმა ბოჰუში (ბელარუსი) — პერმა ოზგენი (5, თურქეთი) 7:5 6:3
ქსენია პერვაკი (რუსეთი) — თინათინ ყავლაშვილი (საქართველო) 6:0 6:1
ვერონიკა კაპშაი (უკრაინა) — ელიზავეტა ტოჩილოვსკაია (რუსეთი) 6:1 6:2
რია დოერნემანი (გერმანია) — ვარვარა გალანინა (რუსეთი) 6:1 6:0
კორინა დენტონი (7, იტალია) — მარინა შამაიკო (რუსეთი) 6:2 6:3



ეკა გორგოძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# იყო ტრიო, არის დუეტი

**თამაშების** განრიგში, როგორც იქნა, ჩამორჩენა აღმოიფხვრა და ორი წრე ბოლომდე ჩათამაშდა. გუშინ ბათუმის „ლედის ოუფენს" რვა ჩოგბურთელილა შერჩა. დილიდან ჯერ პირველი წრის გადადებული შეხვედრები გაიმართა, შემდეგ კი მეორისაც და საღამოს უკვე მეოთხედფინალის ოთხი წყვილიც გაირკვა.

მეორე წრეში თამაში ხუთიდან სამმა ქართველმა რომ გაინაღდა, გუშინაც გაცნობეთ. ამჯერად კი გეტყვით, რომ ამათგან ორმა ჩვენებურმა მორიგი გამარჯვებებით გაგვახარა. დღის ერთადერთი უსიამოვნო ამბავი თინათინ ყავლაშვილის მარცხი იყო და მიმოხილვასაც მისით დავიწყებთ.

საკვალიფიკაციო ეტაპის გადამლახავ ქართველს ტურნირი რუსმა ქსენია პერვაკმა დაასრულებინა. ცნობისთვის, პერვაკი მსოფლიოს რეიტინგში ყავლაშვილზე 350 ადგილით წინ დგას და, ცხადია, ფავორიტიც სწორედ ის იყო. აქვე შევახსენებთ, რომ პირველ წრეში რუსმა ჩოგანმა „ლედის ოუფენის" მესამე ნომერი, ბერძენი ანა გერასიმუც ჩამოიშორა.

და ერთიც — ნახევარფინალში გასასვლელად დღეს პერვაკი უკრაინელი ვერონიკა კაპშაის პირისპირ დადგება. კაპშაიმ მეოთხედფინალის საგზური გუშინ რუს ელიზავეტა ტოჩილოვსკაიას აართვა. თან ისე, რომ ჯამში მხოლოდ სამი ქულა დაუთმო.

ყავლაშვილმა რომ წააგო, ქომაგებს საგულშემატკივრო ორი ჩოგბურთელილა დარჩათ. ოქსანა კალაშნიკოვამ და ეკატერინე გორგოძემაც მშვენივრად ითამაშეს და საუკეთესო რვეულშიც მოხვდნენ.

კალაშნიკოვა თავისზე სამასი პოზიციით წინ მდგომ ქსენია პალკინას დაუპირისპირდა, მაგრამ რეიტინგში განსხვავება არავის აგრძნობინა. პირიქით, ოქსანა გამოცდილ მეტოქეზე დამაჯერებლადაც გამოიყურებოდა და საქმე ძალიან იოლადაც მოუმთავრა, ორ სეტში.

გორგოძეს კი გუშინ გაცილებით მძიმე ბრძოლა გადახდა, ვიდრე კალაშნიკოვას. ტაიბრეიკით მოგებული პირველი სეტის შემდეგ ტურნირის მეოთხე ნომერს, რუს არინა როდიონოვას 1:3 კი ამოუქაჩა, მაგრამ მეტი ვერ შეძლო და მეოთხედფინალისტის გამოსავლენად მესამე სეტი გახდა საჭირო. ისიც ისე დაიწყო, ქართველის გამარჯვებას ბევრი ვერ იწინასწარმეტყველებდა. რუსი 2:0 დაწინაურდა, მაგრამ გორგოძემ ძალა მოიკრიბა და საერთო ანგარიში ხომ გაათანაბრა, ზედ სამი ქულაც დააყოლა. როდიონოვა 2:5-ის სათავისოდ შემტრიალებელი რომ აღარ იყო, მშვენივრად ჩანდა. არინამ ჩამორჩენა მინიმუმამდე კი შეამცირა, მაგრამ სულ ეს იყო. ეკამ 6:4 მოიგო და გერმანელ რია დოერმენთან თამაში გაინაღდა.

ამ გერმანელმა სოფო შაფათავას ძლევის შემდეგ გუშინ რუს ვარვარა გალანინას ისე აჯობა, მხოლოდ კინკილა გეიმი დაუთმო. მეოთხე მეოთხედფინალში კი ერთმანეთის პირისპირ ტურნირის პირველი ნომერი, სერბი ვოჟისლავა ლუკიჩი და ავსტრიელი იმა ბოჰუში დადგებიან. ლუკიჩმა მეორე წრეში კვალიფიკაციაგავლილი ალექსანდრა მალიარჩიკოვას დაახრევინა ჩოგანი — 6:1 6:1, ბოჰუშმა მეხუთე ნომრად განთესილ თურქ პემრა ოზგენს — 7:5 6:3.

**ოთარ მაღლაკელიძე**
**ბათუმიდან**

# ჰიუიტი მუმბაის ბომბავს

**ტომი ჰაასი** წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრად მებრძოლთაგან ერთ-ერთი გახლავთ — ამჟამად იგი რეიტინგში მეცხრეა და შანხაიში რომ ითამაშოს, ბოლო, მერვე ადგილთან სულ რაღაც ხუთი ქულა აშორებს. ამიტომ გერმანელი ბანგკოკს იმ იმედით ეწვია, რომ იქ კარგი ჩოგნაობით ერთი-ორი საფეხურით წინ წაიწევდა. მაგრამ ჰაასის იმედებს ცივი წყალი ნიკოლა მაჰუმ გადაასხა და გერმანელს იმაზე გაცილებით ადრე ჩაალაგებინა ჩემოდნები, ვიდრე ამას თავად ტომი გეგმავდა.

მეორე წრის შეხვედრაში ფრანგმა ორ სეტში დასცა ტაილანდში მეოთხე ნომრად განთესილი გერმანელი და მეოთხედფინალს უწია. მაჰუსთვის, რომელსაც ივლისიდან მოყოლებული ერთხელაც არ მოეგო, ეს გამარჯვება ფრიად მნიშვნელოვანი გახლდათ.

მაჰუს ახლა ფერნანდო ვერდასკოსთან ელის დაპირისპირება, რომელიც თავის მხრივ კანადელ აყლაყუდა ფრენკ დანსევიჩს სამ სეტში გაუმკლავდა. ჩრდილოამერიკელმა უკეთესად კი დაიწყო, მაგრამ მატჩის შუაწელს ესპანელმა ალლო აული დანსევიჩის მძლავრ ჩამოწოდებებს და ჩარხი თავისკენ შეატრიალა.

მეოთხედფინალშია დმიტრი ტურსუნოვიც, რომელმაც მიშელ ლოდრას საათნახევარში აჯობა. თუმც დღის ყველაზე დაძაბული მატჩი ივო კარლოვიჩისა და სიმონ სტადლერს შორის შედგა. მათ ორსაათნახევარი იომეს და მაყურებელიც გაართეს დაძაბული ჩოგნაობით. გიგანტი ხორვატი მარცხს ძლივს გადაურჩა, რადგან სეტი ჰქონდა წაგებული და მეორეშიც 1:3 უკან იყო. მაგრამ ბალკანელმა დროულად აამუშავა თავისი ყუმბარმტყორცნი, ეისი ეისს მიაყოლა (ნამატჩევს 21 მოუგროვდა) და ნაკლებად ცნობილი გერმანელი მაინც დაამარცხა.

უპრობლემოდ იმარჯვა მთავარ ფავორიტად მიჩნეულმა ტომაშ ბერდიხმა. მიშა ზვერევმა მხოლოდ მეორე სეტში გაიფაფხურა, მაგრამ პარტიის შუაწელზე ბერდიხმა საჭირო ბრეიკი გააკეთა და...

მუმბაიში პირველად გავიდა კორტზე ლეიტონ ჰიუიტი — გავიდა და ფრიადი წარმატებითაც, რადგან ტაივანელ ტი ჩენს საათნახევარში გამოუყვანა წირვა. მეორე წრეში ოზი ბორის პაშანსკის შეხვდება.

ინდოეთში მომხადრი ამბებიდან ასევე გამოვარჩიოთ უბერებელი ფაბრის სანტოროს წარმატებული გამოსვლა. 35 წლის ფრანგმა თანამემამულე ნიკოლა დევილდერთან ცუდად კი დაიწყო, მაგრამ ასაკის მიუხედავად, ფიზიკურ მომზადებაში აჯობა მეტოქეს და მეოთხედფინალის საგზურიც გაინაღდა.

ლუქსემბურგში გუშინ ფავორიტების გვემა იყო. სახლის გზას შაჰარ პირი და ნადია პეტროვა გაუყენეს. ებრაელს ვერა ზვონარიოვამ აჯობა, თუმც საამისოდ სამი სეტი იჯახირა.

პეტროვა კი ბეჭებზე ვიქტორია აზარენკამ გააკრა. ბელარუსმა გამოცდილი რუსი ბავშვივით დაიბრიყვა და მხოლოდ სამი გეიმი აღებინა.

სამაგიეროდ, სხვა ბობოლებმა იყოჩაღეს. ორმა ანამ — ჩაკვეტაძემ და ივანოვიჩმა ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე დაძლიეს პირველი ბარიერი. ქართული ფესვების მქონე რუსი მეილენ ტუს გაუმკლავდა, სერბმა კი ადგილობრივები დაამწუხრა, რადგან ლუქსემბურგელ ენ კრემერს მოუგო. ისე, მასპინძელი ღირსეულად ეომა ივანოვიჩს და პირველ სეტში 5:2-საც უგებდა, მაგრამ ბალკანელმა ზედიზედ ხუთი გეიმის აღებით ყველა კითხვას პასუხი გასცა.

„კარგი მატჩი იყო. თავიდან ვერ დავიწყე სათანადოდ, მაგრამ მაშინ მოვუმატე როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა. მთლიანობაში საკუთარი გამოსვლით უკმაყოფილო არ ვარ" — განაცხადა ნამატჩევს ივანოვიჩმა.

მეოთხედფინალში არიან სეულის ფავორიტებიც — საუკეთესო რვაში ადგილი პირველმა ნომერმა ვინუს უილიამსმაც და ტიტულის შენარჩუნებისთვის მებრძოლმა ელენი დანილიდუმაც დაიბევს.

ვინუსმა საათზე ნაკლები დაახარჯა ტამარინ ტანასუგარნს მიუხედავად იმისა, რომ მარჯვენა ფეხზე სახვევი ედო. თუმც მატჩის შემდეგ უფროსმა შავდამ თავისი გულშემატკივრები დაამშვიდა, სერიოზული არაფერია და ეს მცირე ტრავმა აქ გამარჯვებაში ხელს ვერ შემიშლისო.

**კახა ლომჯაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP მუმბაიდან

**კაცები. ბანკოკი. ტაილანდი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 550 000 $**

### მეორე წრე

ეუ-ცუ ვანგი (ტაივანი) — ნიკ ლინდალი (ავსტრალია) 6:3 6:3; დმიტრი ტურსუნოვი (6, რუსეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4 6:4; ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) — ტომი ჰაასი (4, გერმანია) 6:4 6:4; ფერნანდო ვერდასკო (8, ესპანეთი) — ფრენკ დანსევიჩი (კანადა) 3:6 6:3 6:4; ივო კარლოვიჩი (7, ხორვატია) — სიმონ შტადლერი (გერმანია) 6:7 7:6 7:5; ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 6:2 6:3; ტომაშ ბერდიხი (3, ჩეხეთი) — მიშა ზვერევი (გერმანია) 6:1 6:4

**კაცები. მუმბაი. ინდოეთი. ჰარდი. საპრიზო 416 000 $**

### პირველი წრე

ლეიტონ ჰიუიტი (2, ავსტრალია) — ტი ჩენი (ტაივანი) 6:3 6:3; ბორის პაშანსკი (სერბეთი) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 1:6 6:3 6:3

### მეორე წრე

ფაბრის სანტორო (5, საფრანგეთი) — ნიკოლა დევილდერი (საფრანგეთი) 2:6 6:3 6:2; იარკო ნიემინენი (4, ფინეთი) — ტოსიჰიდე მაცუი (იაპონია) 6:0 6:4; ნიკლას კიფერი (გერმანია) — იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:3 6:3; შტეფნ კუბეკი (6, ავსტრია) — ბიორნ ფო (გერმანია) 4:6 6:3 7:5; ოლივიე როხუსი (ბელგია) — ივან ნავარო პასტორი (ესპანეთი) 3:6 6:3 6:4

**ქალები. ლუქსემბურგი. ლუქსემბურგი. ჰარდი. საპრიზო 600 000 $**

### მეორე წრე

დანიელა ჰანტუხოვა (4, სლოვაკეთი) — ზუზანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) 6:4 6:1; ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — შაჰარ პირი (7, ისრაელი) 4:6 6:1 6:4; ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) — ნადია პეტროვა (3, რუსეთი) 6:2 6:1; ანა ივანოვიჩი (2, სერბეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 7:5 6:4; მარიონ ბარტოლი (5, საფრანგეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:2 7:5; ანა ჩაკვეტაძე (1, რუსეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:1 7:6

**ქალები. სეული. სამხრეთ კორეა. ჰარდი. საპრიზო 145 000 $**

### მეორე წრე

ვინუს უილიამსი (1, აშშ) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:2 6:1; ელენი დანილიდუ (5, საბერძნეთი) — აშა როლე (აშშ) 6:3 6:2; აგნეს სავაი (2, უნგრეთი) — გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) 6:1 6:4

**ქალები. გუანჯოუ. ჩინეთი. ჰარდი. საპრიზო 175 000 $**

### მეორე წრე

ანაბელ მედინა-გარიგესი (1, ესპანეთი) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:2 6:2; ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 3:6 6:3 6:4; ციპორა ობზილერი (ისრაელი) — შუაი პენგი (3, ჩინეთი) 4:6 6:4 7:6; იოანა ოლარუ (რუმინეთი) — ძი იანი (ჩინეთი) 6:1 6:4; ალისია მოლიკი (ავსტრალია) — ჯულია დიტი (აშშ) 6:3 6:2; დომინიკა ციბულკოვა (4, სლოვაკეთი) — სონგ შანშანი (ჩინეთი) 6:1 6:2; ვირხინია რუანო-პასკუალი (ესპანეთი) — ოლგა გოვორცოვა (6, რუსეთი) 6:2 6:1; ვირჟინი რაზანო (2, საფრანგეთი) — ტიან ტიან სუნი (ჩინეთი) 6:0 6:0


**სარბიელი**
**სპორტული გაზეთი**
**გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან**
**გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს**

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

**სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00**

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge